

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მედიცინის ფაკულტეტი

სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი – ალექსანდრე ცისკარიძე

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა.

სრული პროფესორები:

- |                             |                            |
|-----------------------------|----------------------------|
| 1. ალადაშვილი ალექსანდრე    | 11. ოკრიბელაშვილი ნინო     |
| 2. გაგუა რეზო               | 12. ომიადე მიხეილი         |
| 3. გალდავა გიორგი           | 13. ქარსელაძე რუსუდანი     |
| 4. თოდუა ფრიდონი            | 14. შაქარიშვილი რომანი     |
| 5. იმნაძე პაატა             | 15. ჩიგოგიძე თეიმურაზი     |
| 6. კეზელი თამარი            | 16. ჩხაიძე ზურაბი          |
| 7. კილაძე მერაბი            | 17. ცერცვაძე თენგიზი       |
| 8. კორძია დიმიტრი           | 18. წინამძღვრიშვილი ბეჟანი |
| 9. ლობჯანიძე გია            | 19. ხომასურიძე არჩილი      |
| 10. მარგველაშვილი ვლადიმერი | 20. ჯორბენაძე თეიმურაზი    |

ასოცირებული პროფესორები:

- |                           |                          |
|---------------------------|--------------------------|
| 1. ანთაძე ამირან          | 22. მანჯავიძე ნატალია    |
| 2. ანთელავა ნიკოლოზი      | 23. მაჭავარიანი პავლე    |
| 3. ბაგაშვილი თამილა       | 24. პატარაია გიორგი      |
| 4. ბერიაშვილი ზურაბი      | 25. უვანია გიორგი        |
| 5. გვენეტაძე არსენი       | 26. ჟორჟოლიანი ლიანა     |
| 6. გიგინეიშვილი დავითი    | 27. სულუხია რევაზი       |
| 7. გიორგაძე ელენე         | 28. ტაბიძე გულნარა       |
| 8. გონჯილაშვილი ვლადიმერი | 29. ქიტუაშვილი თინა      |
| 9. გუგუციძე დარეჯანი      | 30. ქრისტესაშვილი ჯენარა |
| 10. დადიანი ქეთევანი      | 31. ღირდალაძე ავთანდილი  |
| 11. ვაშაძე თამარი         | 32. ყაზახაშვილი ნატა     |
| 12. ზურაბაშვილი დავითი    | 33. შარაშიძე ნინო        |
| 13. თავბერიძე ლევანი      | 34. შარვაძე ლალი         |
| 14. კალანდაძე მანანა      | 35. შაქარაშვილი მარინე   |
| 15. კაციტაძე გივი         | 36. ჩიხლაძე ნინო         |
| 16. კახაძე სოფიო          | 37. ცანავა შოთა          |
| 17. კვიციანი ნანა         | 38. ცისკარიძე ალექსანდრე |
| 18. კოპალიანი მედეა       | 39. ჭიჭინაძე კონსტანტინე |
| 19. ლაბარტყავა ალექსანდრე | 40. ჭუმბურიძე ვახტანგი   |
| 20. ლორია ლაშა            | 41. ხოდელი ნოდარი        |
| 21. მამამთავრიშვილი ნინა  |                          |

ასისტენტ-პროფესორები:

1. აბაშიძე რუსუდანი
2. აბულაძე ვალერიანი
3. ბარბაძე ქეთევანი
4. ბარბაქაძე ირინა
5. გეგენავა მაკა
6. გოგიბერიძე მამუკა
7. გოდერძი შვილი ვახტანგი
8. გურგენიძე მამუკა
9. დარჯანია ოთარი
10. დოჭვირი თეიმურაზი
11. ელისაბედაშვილი გიორგი
12. თოდუა მანანა
13. კაკაბაძე მანანა
14. კიკალიშვილი თამარი
15. კირვალიძე ია
16. ლურსმანაშვილი გია
17. მამამთავრიშვილი გრიგოლი
18. მგელიაშვილი თეიმურაზი
19. პეტრიაშვილი ალინა
20. რუხაძე თამარი
21. სიხარულიძე გიორგი
22. ფარულავა შალვა
23. ჩუხრუკიძე არჩილი
24. ჩხაიძე ზურაბი
25. ჩხაიძე მამუკა
26. ჭიპაშვილი მარიამი
27. ხეროდინაშვილი გიორგი
28. ჯანგაგაძე მისეილი

## სარჩევი

დეპარტამენტი	ბმ.
ანატომიის, ტოპოგრაფიული ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის დეპარტამენტი	4
ინფექციურ დაავადებათა და კლინიკური იმუნოლოგიის დეპარტამენტი. ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის ს-პ ცენტრი. ქირურგიის დეპარტამენტი	20 42
დერმატო-ვენეროლოგიის დეპარტამენტი	49
ურთოლოგიის დეპარტამენტი	61
თერაპიის დეპარტამენტი	66
მეანობა-გინეკოლოგიის და რეპროდუქტოლოგიის დეპარტამენტი	80
საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტი	95
ფარმაკოლოგიის დეპარტამენტი.	108
პედიატრიის დეპარტამენტი	118
ფსიქიატრიის დეპარტამენტი	122
ოფთალმოლოგიის დეპარტამენტი	126
გადაუდებელი და კრიტიკული მედიცინის დეპარტამენტი	131
პათოლოგიის დეპარტამენტი	137
სამედიცინო რადიოლოგიისა და ენდოსკოპიის დეპარტამენტი	146
ნევროლოგიისა და ნეიროქირურგიის დეპარტამენტი	153
სტომატოლოგიის დეპარტამენტი	164

**ანატომიის, ტოპოგრაფიული ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის დეპარტამენტი**

სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი - დიმიტრი კორძაია,  
 სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:  
 დიმიტრი კორძაია - სრული პროფესორი,  
 ნოდარ ხოდელი - ასოცირებული პროფესორი,  
 მანანა კაკაბაძე - ასისტენტ პროფესორი,  
 ია კირვალიძე - ასისტენტ პროფესორი,  
 ზურაბ ჩხაიძე - ასისტენტ პროფესორი,  
 მიხეილ ჯანგავაძე - ასისტენტ პროფესორი.

**\* საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2014 წლისათვის  
 დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები**

№	გეგმით გათვალისწინებული და შესრულებული სამუშაოს დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	რეპექციის შემდგომ დარჩენილი და გადანერგილი ნახევარი ღვიძლის რეგენერაცია ანუ რეგენერაცია დენერვაცია-დელიმფატიზაციის ფონზე. ჰეპატოციტები თუ ღეროვანი უჯრედები? (მედიცინა; ჰეპატოლოგია, ტრანსპლანტოლოგია)	დიმიტრი კორძაია, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი	ნ. ხოდელი - ასოცირებული პროფესორი ზ. ჩხაიძე - ასისტენტ პროფესორი მ. კაკაბაძე - ასისტენტ პროფესორი ი. კირვალიძე - ასისტენტ პროფესორი მ. ჯანგავაძე - ასისტენტ პროფესორი
2	პროექტი N II-2 ორგანოთა კონსერვაციის ახალი მეთოდის შემუშავება	ნოდარ ხოდელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი <a href="mailto:nkhodeli@gmail.com">nkhodeli@gmail.com</a>	ზ. ჩხაიძე - აკადემიური დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი კირვალიძე - აკადემიური დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი 2 ლაბორანტი

დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)

1	<p>ცოცხალი დონორიდან ღვიძლის ნახევრის გადაწერვა გულისხმობს, რომ ღვიძლის როგორც დარჩენილი (დონორში), ისე გადაწერილი (რეციპიენტში) ნახევრები განიცდის რეგენერაციას. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ საქმე ეხება ერთი და იმავე ღვიძლის „ნახევრების“ რეგენერაციას სხვადასხვა ორგანიზმში.</p> <p>იმის გამო, რომ ღვიძლის ტრანსპლანტაციის შემდეგ „მოცილების რეაქცია“ სუსტად არის გამოხატული, განსაკუთრებით კი გენეტიკური ტყუპების შემთხვევაში (როგორც ადამიანში, ისე ექსპერიმენტულ ცხოველებში) გადაწერილი და დარჩენილი ღვიძლის ნახევრების რეგენერაციის პირობებს შორის ძირითად განსხვავებას ქმნის ის, რომ გადაწერილი ღვიძლს დარღვეული აქვს ინერვაცია და ლიმფის დრენაჟი.</p> <p>ამდენად, გადაწერილი და დარჩენილი ღვიძლის ნახევრების რეგენერაციის შედარებითი გამოკვლევა პრაქტიკულად წარმოადგენს ღვიძლის რეზექციის შემდგომი რეგენერაციის შესწავლას ინერვაციის და ლიმფური დრენაჟის მოშლის პირობებში.</p> <p><b>პროექტის მიზანს</b> წარმოადგენს რეზექციის შემდეგ დარჩენილი და აუტოტრანსპლანტირებული ღვიძლის ნახევრების რეგენერაციის მაკროსტრუქტურული, ქსოვილოვანი და უჯრედული მექანიზმების გამოკვლევა.</p> <p><b>2014 ს წარმოდგენილი პროექტის ამოცანას წარმოადგენდა:</b></p> <p>ღვიძლის ნახევრის რეზექციისა და აუტოტრანსპლანტაციის (რეპლანტაციის) ექსპერიმენტული მოდელის შემუშავება.</p> <p><b>შენიშვნა: რეპლანტაციის მოდელის უპირატესობა ნაჩვენებია იყო დაფინანსებისათვის წარდგენილი პროექტის აღწერილობაში.</b></p> <p>შემუშავებული იქნა ორი მოდელი: ვირთაგვებზე და ბოცვრებზე.</p> <p>როგორც პროექტით იყო გათვალისწინებული, ვირთაგვების მოდელს საფუძვლად დაედო პროექტის კოლაბორატორის, პროფესორ ე.მათევოსიანის (მიუნხენის /გერმანია/ ტექნიკური უნივერსიტეტის სამედიცინო კლინიკის ტრანსპლანტაციის განყოფილების ხელმძღვანელი) მიერ მოწოდებული მეთოდიკა (Liver Transplantation in the Rat: Single-Center Experience With Technique, Long-term Survival, and Functional and Histologic Findings. Transplantation Proceedings, 2009). ეს მოდელი ნაჩვენებია იქნა თავად ე. მათევოსიანის მიერ, თსუ-ში ჩვენს მიერ ორგანიზებულ სიმპოზიუმში - „ღვიძლისა და პანკრეასის/ლანგერჰანსის კუნძულების ტრანსპლანტაცია: ორგანიზაციული, იურიდიული, კლინიკური და სამეცნიერო ასპექტები“ - მონაწილეობისათვის თბილისში ვიზიტის დროს, 2014 წლის 15-18 ოქტომბერს. <b>შენიშვნა: სიმპოზიუმი დაფინანსებული იყო რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საკონფერენციო გრანტით (იხ. ქვემოთ).</b></p> <p>აღნიშნული მოდელი წარმატებით იქნა ათვისებული პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის მიერ, თსუ დოქტორანტის, ქირურგ ჯუმბერ ფარცახაშვილის მონაწილეობით.</p> <p>ამასთანავე, ცხადი შეიქმნა, რომ აღნიშნული მოდელის გამოყენება სერიულ ექსპერიმენტებში პრობლემურია: ტექნიკურად რთულია: ხორციელდება მიკროქირურგიული ტექნიკისა და აპარატურის გამოყენებით, მაღალია ცხოველთა ლეტალობა (8-დან 5 ცხოველი მოკვდა), ვერ ხერხდება რეზეცირებული ღვიძლის აუტოტრანსპლანტაცია (რეპლანტაცია) ჩვენს მიერ ადრე, დიდი ზომის ცხოველებისათვის მოწოდებული ღვიძლის აუტოტრანსპლანტაციის მეთოდის (Experimental Liver Autotransplantation With Novel Scheme of Veno-venous Bypass as a Model of Liver Denervation and Delymphatization. Transplantation Proceedings, 2013 Volume 45, Issue 5, June 2013, Pages 1734–1738) გათვალისწინებით. ამ უკანასკნელის მიზეზია ის რომ ღვიძლის ვენური სისხლის ძარღვების</p>
---	--


გადაკვეთის შემდეგ, ვირთაგვის ზომიდან, და შესაბამისად, ამ სისხლძარღვთა ზომებიდან გამომდინარე, შეუძლებელი ხდება მათი აღდგენა ე.წ. „კაფ-ტექნიკის“ გამოყენებით. „კაფ-ტექნიკის“ გარეშე კი ვირთაგვებში პრაქტიკულად შეუძლებელია სისხლძარღვთა პლასტიკა, მაშინ, როდესაც დიდი ზომის ცხოველებში სისხლზართვთა აღდგენა ხდება ქირურგიული ნაკერების გამოყენებით.

აღნიშნულის გამო 2014 წლის ნოემბრის თვეში ჩვენს მიერ ბოცვრებზე შემუშავებული იქნა რეზეცირებული ღვიძლის რეპლანტაციის შედარებით მარტივი მოდელი. კერძოდ, ზოგადი გაუტკივარების პირობებში ხდება ღვიძლისა და მისი სისხლძარღვების სრული სკელეტიზაცია: იკვეთება ღვიძლის ორგანიზმთან დამაკავშირებელი ყველა იოგი (მის შემადგენლობაში მყოფი ყველა სისხლის ძარღვის, ლიმფური ძარღვისა და ნერვული ბოჭკოს ჩათვლით), და განშრეველება ღვიძლის ორგანიზმთან დამაკავშირებელი ყველა ფაშარი შემაერთებული ქსოვილი (მის შემადგენლობაში მყოფი ყველა სისხლის ძარღვის, ლიმფური ძარღვისა და ნერვული ბოჭკოს ჩათვლით); ამდენად, ღვიძლი ორგანიზმთან დაკავშირებული რჩება მხოლოდ ღვიძლის ვენებით, პორტული ვენით, ღვიძლის არტერიითა და ნაღვლის საერთო სადინარით (მიიღება ე.წ. „სისხლძარღვებზე დაკიდებული ღვიძლი“, რაც შეესაბამება ჩვენს მიერ ადრე მოწოდებული მოდელის (Experimental Liver Autotransplantation With Novel Scheme of Venovenous Bypass as a Model of Liver Denervation and Delymphatization. Transplantation Proceedings, 2013 Volume 45, Issue 5, June 2013, Pages 1734–1738) პრინციპს.

ამის შემდეგ, ვახდენთ ღვიძლის მარჯვენა ლატერალური და მედიალური წილების რეზექციას მათი აფერენტული სისხლის ძარღვებისა და წილოვანი ნაღვლის სადინარის ორ ლიგატურას შორის გადაკვეთის შემდეგ. ღვიძლის რეზექციის ეს მეთოდი ჩვენს მიერ კარგად არის დამუშავებული წინა წლებში და ხორციელდება რამოდენიმე წუთის განმავლობაში. რეზექციის შედეგად ფართოვდება სამანიპულაციო სივრცე „სისხლძარღვებზე დაკიდებული დარჩენილი ღვიძლის“ ირგვლივ.

აღნიშნულის შემდეგ იწყება დარჩენილი ღვიძლის რეპლანტაცია შემდეგი მეთოდით: ქვემო ღრუ ვენის ინფრაჰეპატურ (ინფრარენალურ) ნაწილში კრანიალური მიმართულებით შეიყვანება პოლიეთილენის ანტითრომბული კათეტერი, რომლის დისტალური ბოლო ფიქსირდება სუპრაჰეპატურად, ხოლო პროქსიმალური ბოლო ინფრარენალურად - ორ-ორი, ერთმანეთისაგან 2-3 მმ-ით დაშორებული ლიგატურით. ამის შემდეგ, ქვემო ღრუ ვენის კედელი, როგორც სუპრაჰეპატურად (უშუალოდ დიაფრაგმის ქვემოთ) და ინფრარენალურად გადაიკვეთება (შემოსერება) აღნიშნულ ლიგატურებს შორის. ამის შემდეგ, როგორც კარის ვენა და ღვიძლის არტერია, ასევე ნაღვლის საერთო სადინარი თანმიმდევრობით გადაიკვეთება და აღდგენა „კაფ-ტექნიკის“ გამოყენებით.

აღნიშნული მანიპულაციების შემდეგ მივიღებთ რეზექციის შემდგომ ღვიძლს, რომელიც „მოშორდა“ და კვლავ „ჩაინერგა“ ისე, რომ არცერთ ეტაპზე არ შეწყვეტილა მისი ჰემოცირკულაცია. ამასთანავე, ყველა იმ მილოვანი სტრუქტურის გადაკვეთისას, რომლითაც რეზექციის შემდგომ დარჩენილი ღვიძლის ქსოვილი დაკავშირებული რჩებოდა ორგანიზმთან (ღვიძლის ვენები, კარის ვენა, ღვიძლის არტერია, ნაღვლის სადინარი), გადაკვეთილ იქნა ის ნერვული და ლიმფური სტრუქტურებიც, რომლებიც აღნიშნული მილოვანი სტრუქტურების კედლის სისქეში მდებარეობდნენ და მონაწილეობდნენ ღვიძლის ინერვაციასა თან ლიმფის დრენაჟში (იხ. სქემა).



ამგვარად ვიღებთ მოდელს, როდესაც რეპლანტირებული და დენერვირებული ნახევარი ღვიძლი რეპლანტირებულია ორგანიზმში და იწყებს რეგენერაციას. აღნიშნული მოდელის განხორციელება ტექნიკურად უფრო მარტივია. ჩვენ ეს მოდელი განვახორციელებთ სამ ბოცვერზე და სამივე ცხოველი გადარჩა.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, პროექტის განმახორციელებელი ჯგუფი მზადაა, რომ 2015-2016 წლების ამოცანა - რეზექცია-ტრანსპლანტაციიდან სხვადასხვა ვადებზე რეზექციის შემდეგ დარჩენილი და ტრანსპლანტირებული ღვიძლის ნახევრების რეგენერაციის მაკროსტრუქტურული, ქსოვილოვანი და უჯრედული მექანიზმების გამოკვლევა - განახორციელოს ორ მოდელზე - ვირთაგვისა და ბოცვრის. სავარაუდოდ, უპირატესობა მიენიჭება (და კვლევები დაიწყება) ბოცვრის მოდელს, როგორც უფრო მარტივს. ამასთანავე, იმუნოპისტოქიმიური კვლევების განხორციელებისათვის, რაც პრაქტიკულად შეუძლებელია ბოცვრებზე, გაგრძელდება მათევისიანის და თანაავტორთა მიერ ვირთაგვებში მოწოდებული მოწოდებული ტრანსპლანტაციის მოდელის ტექნიკის სრულყოფილად ათვისება, რათა 2016 წელს შესაძლებელი გახდეს ამ მოდელის წარმატებული გამოყენებაც.

2 აღნიშნული აპარატის კონსტრუქციაში რიგი ტექნიკური და ელექტროტექნიკური ცვლილებების შეტანის შემდეგ შეიქმნა ახალი, ორგანოთა კონსერვაციისათვის განკუთვნილი აპარატის საცდელი მაკეტი და მოხდა მისი პირველადი სასტენდო და მცირე საცდელ ცხოველებზე წესპერიმენტული გამოცდა.

აღნიშნული აპარატის მაკეტში ძირითად კვანძს წარმოადგენს ორსაკნიანი ტუმბო, რომელსაც შეუძლია ერთდროულად სითხის სადენ ორ სხვადასხვა მილში განსხვავებული პარამეტრების მქონე (პულსური და არაპულსური) ნაკადების შექმნა. სისხლის გადატუმბვის დროს ტუმბო არ იწვევს სისხლის ფორმიანი ელემენტების ტრავმას და ჰემოლიზს. მისი მუშაობისას პულსური ნაკადის ნებისმიერი ფიზიოლოგიური სისხირისა და სისტოლური მოცულობის მიღებაა შესაძლებელი.

ორგანოთა ტრანსპლანტაციის წინა შენახვა (კონსერვაცია) აღნიშნული მოწყობილობით

შესაძლებელია როგორც გეამში, in situ მულტიორგანული კონსერვაციის დროს, ისე კონსერვაცია იზოლირებული ორგანოსი მისი პრეტრანსპლანტაციური შენახვისა და ტრანსპორტირების დროს. აპარატის გამოყენება შესაძლებელია ტრავმულად ამპუტირებული კიდურების, ან მათი ფრაგმენტების ტრანსპორტირების დროსაც. მომდევნო 2015 წელს დაგეგმილია ხელსაწყოთა ყოველმხრივი გამოცდა საშუალო ზომის ცხოველებზე, სწორედ ამ აღნიშნულ ექსპერიმენტულ მოდელებში.

აპარატის გამოყენების მოსალოდნელი ეფექტები, მისი კონსტრუქციული უპირატესობები და პირველი ექსპერიმენტებით მიღებული დამამკვდეველი შედეგები განხილულ იქნა ანატომთა ასოციაციის საერთაშორისო ფედერაციის მე 18 კონგრესზე პეკინში; მე-7 საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე „ქირურგიის განვითარების თანამედროვე ტენდენციები“ ალმატაში; 85-ე საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით კონფერენციაზე „სიცოცხლე და სოციალური პროგრამები ბიოლოგიაში“ ლონდონში და ნ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე თბილისის სამეცნიერო აკადემიაში.

**\* სახელმწიფო გრანტით დაფინანსებული პროექტები**

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	ხელოვნური სისხლმიმოქცევის პორტატული აპარატის ექსპერიმენტული შემუშავება სავლელე პირობებში გამოყენებისთვის	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ზურაბ ჩხაიძე	ნოდარ ხოდელი
2	სიმპოზიუმი: დეიძლისა და პანკრეასის/ლანგერჰანის კუნძულების ტრანსპლანტაცია - ორგანიზაციული, იურიდიული, კლინიკური და სამეცნიერო ასპექტები	რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	დიმიტრი კორძაია	ნ. ხოდელი გ. ლობჯანიძე ზ. ჩხაიძე
დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)				
1	შეიქმნა უნივერსალური ტუმბოს დამწნეხი კამერა და პულსატორი, ამ ტუმბოს გარეგანი			



სარქველები და მისი მართვის პულტი. სტენდზე გამოიკადა აპარატის ყველა ცალკეული ბლოკი. შექმნილი ბლოკების ურთიერთდაკავშირებითა და კომუტაციით შეიქმნა ხელოვნური სისხლმიმოქცევის პორტატული აპარატის ექსპერიმენტული მოდელი. აღნიშნული აპარატის შესაძლებლობები გამოიკადა სტენდზე. შეიქმნა ხელოვნური სისხლმიმოქცევის აპარატის ექსპერიმენტული მოდელის პორტატული ვერსია და მისი ორგანიზმთან მისაერთებელი კანულები. აპარატისა და კანულების შესაძლებლობები გამოიკადა ექსპერიმენტებში.

2 16 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი „ღვიძლისა და პანკრეასის/ლანგერჰანის კუნძულების ტრანსპლანტაცია - ორგანიზაციული, იურიდიული, კლინიკური და სამეცნიერო ასპექტები“.

სიმპოზიუმი ორგანიზებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით (საკონფერენციო გრანტების პროგრამა).

სიმპოზიუმში მონაწილეობა მიიღეს გერმანიიდან, შვეიცარიიდან, აშშ-სა და თურქეთიდან მოწვეულმა სპეციალისტებმა

**.სიმპოზიუმის პროგრამა**

სიმპოზიუმის მონაწილეთა რეგისტრაცია	
10:00 - 10:30	
10:30 - 11:00	<p><b>სიმპოზიუმის გახსნა</b></p> <p>აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა – ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) რექტორი</p> <p><b>მისაღმებები:</b></p> <p>პროფ. ალექსანდრე ცისკარიძე – თსუ მედიცინის ფაკულტეტის დეკანი</p> <p>პროფ. ვია ლობუანიძე – საქართველოს ექიმთა ასოციაციის (სმა) დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე</p> <p>პროფ. ვია თომაძე – საქართველოს ტრანსპლანტოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი</p> <p><b>სამეცნიერო სესია (მოდერატორი – დიმიტრი კორძაია)</b></p>
11:00 - 11:30	პროფ. დიმიტრი კორძაია, თსუ – სიმპოზიუმის ამოცანები
11:30 - 12:00	პროფ. ჯორჯ ტეისენი, მიუნჰენის ტექნიკური უნივერსიტეტი (მტუ) – ორგანოთა დონაციის კლინიკური ასპექტები სხვადასხვა ორგანოების ერთდროულად აღების პირობებში
12:00 - 12:30	<b>შესვენება ყავით</b>
12:30 - 13:00	პროფ. ტიერი ბერნი, ვენევის უნივერსიტეტი (ჟუ) – I ტიპის დიაბეტის მკურნალობა პანკრეასისა და ლანგერჰანის კუნძულების გადანერგვით. არსებული მდგომარეობის ანალიზი
13:00 - 14:00	პროფ. ედუარდ მათეოსიანი, მტუ – ღვიძლის გადანერგვის კლინიკური ასპექტები
14:00 - 15:00	<b>საუზმე</b>

15:00 - 15:30	პროფ. ლუტც რენდერსი, მტუ - ცოცხალი დონორი, თირკმლისა და პანკრეასის კომბინირებული გადანერგვა		
15:30 - 16:00	პროფ. ეკატერინე ბერიშვილი-ბერნი, იეშივას უნივერსიტეტის ალბერტ აინშტაინის სამედიცინო კოლეჯი, ნიუ იორკი, აშშ – უჯრედული თერაპიის პერსპექტივები I ტიპის დიაბეტისა და ღვიძლის პათოლოგიების მკურნალობაში		
16:00 - 16:30	პროფესორები ნოდარ ხოდელი, ზურაბ ჩხაიძე და დიმიტრი კორძაია, თსუ – ინოვაციური მიდგომა ღვიძლის ტრანსპლანტაციის პერფუზიისადმი		
16:30 - 17:00	<b>მსჯელობა</b> (მოდერატორები – პროფ. ნიჰალ კილიჩი, 18 მარტის უნივერსიტეტი (თურქეთი), პროფ. ტიერი ბერნი, შუ და პროფ. ლუტც რენდერსი, მტუ)		
17:00 - 17:30	<b>შესვენება ყავით</b>		
17:30 - 18:30	<b>მრგვალი მაგიდა</b>		
	<table border="0"> <tr> <td>I. ღვიძლის გადანერგვა – საქართველოს პრობლემები და პერსპექტივები (მოდერატორები – პროფ. დიმიტრი კორძაია, თსუ და პროფ. ედუარდ მათეოსიანი, მტუ)</td> <td>II. მკურნალობა პანკრეასისა და ლანგერჰანისის კუნძულების გადანერგვა – საქართველოს პრობლემები და პერსპექტივები (მოდერატორები – პროფ. ტიერი ბერნი, შუ და პროფ. ზურაბ კაკაბაძე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი)</td> </tr> </table>	I. ღვიძლის გადანერგვა – საქართველოს პრობლემები და პერსპექტივები (მოდერატორები – პროფ. დიმიტრი კორძაია, თსუ და პროფ. ედუარდ მათეოსიანი, მტუ)	II. მკურნალობა პანკრეასისა და ლანგერჰანისის კუნძულების გადანერგვა – საქართველოს პრობლემები და პერსპექტივები (მოდერატორები – პროფ. ტიერი ბერნი, შუ და პროფ. ზურაბ კაკაბაძე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი)
I. ღვიძლის გადანერგვა – საქართველოს პრობლემები და პერსპექტივები (მოდერატორები – პროფ. დიმიტრი კორძაია, თსუ და პროფ. ედუარდ მათეოსიანი, მტუ)	II. მკურნალობა პანკრეასისა და ლანგერჰანისის კუნძულების გადანერგვა – საქართველოს პრობლემები და პერსპექტივები (მოდერატორები – პროფ. ტიერი ბერნი, შუ და პროფ. ზურაბ კაკაბაძე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი)		
18:30 - 19:00	თსუ –ში ღვიძლისა და პანკრეასის/ლანგერჰანისის კუნძულების ტრანსპლანტაციის სამეცნიერო და კლინიკური ასპექტების განვითარებისათვის თანამშრომლობის 4-წლიანი გეგმის განხილვა. მულტიცენტრული მენორანდუმის კონცეპციაზე შეთანხმება (მოდერატორი – პროფ. გია ლობჯანიძე, თსუ)		
19:00	<b>სიმპოზიუმის დასურვა</b>		

**\* პუბლიკაციები:**  
**ა) საქართველოში**

სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Kandelaki S, Kordzaia D	<a href="#">Helicobacter and hepatobiliary diseases: conceptual view and review of the</a>	2014 (232-233)	თბილისი	92-98

		<u>literature.</u> Georgian Medical News			
2	Kordzaia D, Jangavadze M	Unknown bile ductuli accompanying hepatic vein tributaries (experimental study). Georgian Medical News	2014 (234)	თბილისი	121-129
3	ხოდელი ნ., ჩხაიძე ზ., ფილიშვილი ო., დგებუაძე ა.	ხელოვნური სისხლმიმოქცევის სისტემებში სისხლის გადაადგილების ატრავმული მეთოდების შემუშავება. ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინა.	2014:1;94-96.	თბილისი	3
4	Ходели Н.Г., Чхаидзе З.А., Парцахашвили Д.Д., Пилишвили О.Д., Дгебуაძე А.В., Мумладзе М.А.	Нетрадиционный подход к созданию системы искусственного кровообращения для операций на сердце. Экспериментальная и клиническая медицина.	2014:1;96-98.	თბილისი	3
ანოტაციები					
1	<p>Helicobacter-ის გვარის ბაქტერიებმა შესაძლოა მოახდინონ ხერხემლიანთა თითქმის ყველა სახეობის ინფიცირება. ჰელიკობაქტერიების კოლონიზაცია ძირითადად ხდება საჭმლის მომნელებელი სისტემის სხვადასხვა უბანში, უმეტეს წილად კუჭ-ნაწლავში, ბილიურ ტრაქტში, ზოგჯერ ღვიძლის ქსოვილშიც. აღსანიშნავია, რომპაციენტებიდანჯერჯერობითვერმოსხერხდა Helicobacter-იებისკულტურისმიღება, თუმცაპჯრ (PCR) მეთოდით ჰელიკობაქტერიების სახეობების არსებობა არაერთგზისაა დადასტურებული. ასევე, მრავალმა კვლევამ დაადასტურა კავშირი ღვიძლში ჰელიკობაქტერიების დნმ-ის არსებობასა და ჰეპატოცელულურ კარცინომასშორის.</p> <p>ჰეპატობილიური პათოლოგიების დროს საჭიროა დამტკიცდეს, ჰელიკობატრიების დნმ-ის ღვიძლში აღმოჩენა ადასტურებს მიკრობის ჭეშმარიტ კოლონიზაციას თუ მხოლოდ ჰელიკობაქტერიის და/ან მისი დნმ-ის ენტერო-ჰეპატურ ცირკულაციის მანევრებელია. მნიშვნელოვანია ასევე, ცალკეული სახეობების შტამების იდენტიფიკაცია, რაც საფუძველს შეუქმნის მათი როლის განსაზღვრას დაავადებების პათოგენეზში.</p>				

	<p>ჰელიკობაქტერიები, ისევე როგორც ნაწლავური ფლორის სხვა წარმომადგენლები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან ღვიძლსა და ნაღვლის გზებში შეიძლება მოხვდეს ორიგზით: 1. ტრანსლოკაციის შედეგად (პორტული სისხლის მიმოქცევით) და 2. ფაგერის დერილიდან (აღმავალიგზით).</p> <p>ბილიური პათოლოგია იწვევს ბაქტერიების, მათ შორის, სავარაუდოდ, ასევე ჰელიკობაქტერიების ტრანსლოკაციას და არა პირიქით (თუმცა ეს საკითხი ძალზე მწირადაა გამოკვლეული). ჩვენი მიზანია გავარკვიოთ, თუ რამდენად მონაწილეობს თვითონ ჰელიკობაქტერიები ჰეპატობილიური დაავადებების განვითარებაში.</p> <p>საჭიროა შემდგომი კლინიკური და ექსპერიმენტული კვლევები, რათა განისაზღვროს ჰეპატობილიური სისტემის პათოლოგიის ინიციაცია/პათოგენეზში ჰელიკობაქტერიების სხვადასხვა სახეობების მონაწილეობა.</p>
2	<p>ნაღვლის საერთო სადინარის გადაკვანძვის პირობებში დუქტულური რეაქციის შესწავლისას გამოვლენილია უჩვეულო მდებარეობის ნაღვლის დუქტულები, რომლებიც მიჰყვება ღვიძლის ვენების სხვადასხვა კალიბრის შენაკადებს, ზოგჯერ, სუბლობულურ და ცენტრალურ ვენებამდე.</p> <p>ნაშრომი ეძღვნება ამ ატიპური მდებარეობის დუქტულების რაობის გამიკვლევას. ვისტარის ჯიშის 28 მამრი ვირთაგვის ღვიძლი შესწავლილია ჰისტოლოგიური და იმუნოჰისტოქიმიური მეთოდებით ნორმულად და ნაღვლის საერთო სადინარის გადაკვანძვიდან 6, 12 და 24 საათის შემდეგ. ცხოველთა ნაწილის ნაღვლის გზებში ქოლედოქუსიდან რეტროგრადულად წინასწარ იყო შეყვანილი ტუში. ნაღვლის საერთო სადინარის გადაკვანძვის შემდგომ გამოვლინდა ღვიძლის ვენების შენაკადების თანმხლები დუქტულური პროფილების რაოდენობის მატება. ამასთანავე, უშუალოდ ცენტრალურ და/ან სუბლობულურ ვენებთან მიმდებარე დუქტულების დიამეტრი მერყეობს 5-დან 15 მიკრონამდე, ხოლო ღვიძლის ვენების მსხვილი ვენების ადვენტიციაში მდებარე დუქტულების დიამეტრი - 10-დან 30 მიკრონამდე. ამ დუქტულების (დუქტულური პროფილების) გამომფენი უჯრედები დადებითად ინიშნება CK19, CK7 და OV6 მარ-კერებით, მაგრამ ნეგატიურია პროფლიფერაციის მარკერ Ki-67-ის - მიმართ, რაც ადასტურებს მათ ქოლანგიოციტობას და უარყოფს მათი წარმოშობის პროლიფერაციულ საფუძველს. გამოვლენილია სხვადასხვა ზომის პორტული ტრაქტებისა და ღვიძლის ვენების შენაკადების გადაჯვარედინების უბნები მათი შემაერთებელ-ქსოვილოვანი გარსების ინტეგრაციით. ამ უბნებში გამოვლენილ იქნა ზოგიერთი პორტული ბილიური დუქტულის „გადანაცვლება“ (დისლოკაცია) ღვიძლის ვენების შენაკადების ირგვლივ მდებარე შემაერთებელ ქსოვილში.</p> <p>ნაღვლის საერთო სადინარიდან რეტროგრადულად შეყვანილი ტუში აღმოჩენილ იქნა როგორც პორტულ, ასევე ღვიძლის ვენების თანმხლებ დუქტულებში, აგრეთვე, ნაღვლის კაპილარებშიც, რაც ადასტურებს მათ კალაპოტთა ურთიერთკავშირს.</p> <p>შეიძლება დავასკვნათ, რომ ის ბილიური დუქტულები, რომლებიც პორტული და ღვიძლის ვენების ირგვლივი შემაერთებელი ქსოვილების ინტეგრაციის ადგილებში გადაინაცვლებს პორტული ტრაქტიდან ღვიძლის ვენის მიმართულებით, შესაძლებელია გაჰყვას ამ უკანასკნელის შენაკადებს ცენტრალურ ვენებამდეც. ეს წვრილი დუქტულები სარეზერვო ფუნქციისაა და, სავარაუდოდ, დაკავშირებულია ნაღვლის კაპილარების ქსელთან.</p>
3	<p>ცნობილია, სისხლის უჯრედებზე და პომეოსტაზზე ხელოვნური სისხლის მიმოქცევის აპარატის ტუმბოს ტრავმული მოქმედება. სისხლის უჯრედების დაზიანების შემცირების მიზნით, ჩვენ გამოვიგონეთ „გულ-ფილტვის მანქანა“, სადაც სისხლის მიმოქცევა ახალი მეთოდით ხორციელდება (გულისა და ფილტვების შემოვლითი გზით). მეთოდი ეფუძნება სისხლის მოძრაობას წნევით და ვაკუუმით სხვადასხვა დონეზე განლაგებულ დალუქულ რეზერვუარებში. მეთოდი გამოიცადა ცხოველებზე</p>

	ჩატარებულ 17 ექსპერიმენტში. სისტემის ეფექტურობა განისაზღვრა შემდეგი პარამეტრებით: სისხლის მოძრაობის სიჩქარე ( 4 l/წთ); გადაადგილების სიმაღლე (1,5მ); ვაკუუმის დონე (-10მმ/ გ). ცდამ აჩვენა მთელი სისტემის საიმედოობა, ჰემოლიზის არარსებობა 4 საათის განმავლობაში.
4	მიმდინარეობს მუშაობა „გულ-ფილტვის შემოვლისათვის“ ისეთი მოწყობილობის შესაქმნელად, სადაც არ იქნება საჭირო ოქსიგენატორი და ტუმბო.

### ბ) უცხოეთში

მონოგრაფიები (თავი მონოგრაფიაში)

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Dimitri Kordzaia, Iliia Chanukvadze, Mikheil Jangavadze	Functional Anatomy of Intrahepatic Biliary System (Clinical and Experimental Data) <b>In book:</b> Bile Duct: Functional Anatomy, Disease and Injury Classification and Surgical Management	USA Nova Science Publishers, Inc.	1-87

[https://www.novapublishers.com/catalog/product\\_info.php?products\\_id=52953](https://www.novapublishers.com/catalog/product_info.php?products_id=52953)

ნაშრომში მოცემულია პროფ. შალვა თოიძის მოწაფეების მიერ 30 წლის განმავლობაში სისტემური კვლევით გამოვლენილი დეიდლშიდა ნაღვლის სადინარების მაკრო- და მიკროანატომიური, მათ შორის ჰისტოლოგიური, ჰისტოტოპოგრაფიული და ელექტრონულ-მიკროსკოპიული თავისებურებები, რომლებიც ქმნის მნიშვნელოვან საფუძველს კლინიკური დასკვნებისათვის და ქირურგიული ჩარევებისათვის. მონაცემების ნაწილს ანალოგი არ გააჩნია და, სავარაუდოდ, ჰეპატობილიური ქირურგიისა და ჰეპატომორფოლოგიის წარმომადგენელთა დაინტერესება უნდა გამოიწვიოს.

### სტატიები (აბსტრაქტები)

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Chkhaidze Z., Khodeli N.	New portable heart-lung bypass machine for cardiac cardiopulmonary resuscitation in	2014. p.41-44. <a href="http://gisap.eu/ru/node/52455">http://gisap.eu/ru/node/52455</a>	London	4

		the field condition (development of device). "Life and social programs of biological organisms' existence quality development". Materials digest of the 85th International Research and Practice Conference (London).			
2	D. Kordzaia N. Khodeli, Z. Chkhaidze	Morphological changes of dog liver preserved by different methods  Annals of Anatomy	2014, S1 Vol. 196	GER	1
3	Manana Kakabadze, Mtvarisa Kordzaia, Mikheil Jangavadze, Dimitri Kordzaia	Pre-proliferative step of typical ductular reaction.	2014, S1 Vol. 196	GER	1
ანოტაციები					
1	სტატია განიხილავს ახალი მანქანის დიზაინს, რომელიც განკუთვნილია ექსტრაკორპორული რენიმაციისათვის გულის ინფარქტის დროს, ასევე განიხილება ახალი სისხლის ტუმბო და მისი მუშაობის პრინციპი.				
2	ნაშრომში შედარებულია ექსპერიმენტში ღვიძლის ტრანსპლანტატის მორფოლოგია მისი კონვენციური მეთოდით, ერთი მხრივ, და მანქანით ნორმოთერმული სისხლის პერფუზიით, მეორე მხრივ, კონსერვაციის პირობებში (6 ცხოველი). გაკეთებულია დასკვნა, რომ მანქანით ნორმოთერმული სისხლით პერფუზიით წარმოებული კონსერვაცია უკეთეს შედეგებს იძლევა.				
3	ნაღვლის საერთო სადინარის ოკლუზიის პირობებში განვითარებული დუქტულური რეაქციის (I ტიპის დუქტულური რეაქცია) კვლევიით, დუქტულური რეაქციის, ანუ				

<p>ჰისტოლოგიურ ანათლებზე დუქტულური სანათურების (პროფილების) რაოდენობის მატების პროცესში გამოყოფილია ორი ბსაფეხური: 1. პრეპროლიფერაციული (როდესაც ბილიური დუქტულური პროფილების მატება ხდება არსებული, მაგრამ „უჩინარი“ დუქტულების გაგანიერების გამო) და 2. პროლიფერაციული (როდესაც ბილიური დუქტულური პროფილების მატება ხდება ამ დუქტულების პროლიფერაციის გამო).</p>
--

**\* სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა**  
**ა) საქართველოში**

№	მომსხენებელი/ მომსხენებლები	მოსხენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ზურაბ ჩხაიძე	სიცოცხლის უზრუნველყოფა ექსტრაკორპორული სისტემების გამოყენებით ტრავმირებულთა გულ-ფილტვის მწვავე უკმარისობის დროს	12 აპრილი 2014 წ. თბილისი
2	ნოდარ ხოდელი	ხელოვნური სისლმომოქცევის პორტატული აპარატი	
3	ნ. ხოდელი, ზ. ჩხაიძე, დ. კორძაია	ინოვაციური მიდგომა ღვიძლის ტრანსპლანტატის პერფუზიისადმი	16 ოქტომბერი 2014 წ. თბილისი
4	ნოდარ ხოდელი	ორგანოთა კონსერვაციის ახალი მეთოდის შემუშავება	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია 2014 წლის 26 ნოემბერი
5	დომიტრი კორძაია, მანანა კაკაბაძე	რეზექციის შემდგომ დარჩენილი და გადანერგილი ნახევარი ღვიძლის რეგენერაცია ანუ რეგენერაცია დენერვაცია-დელიმფატიზაციის ფონზე. ჰეპატოციტები თუ ღეროვანი უჯრედები? კითხვები, რომელიც მოითხოვს პასუხს	
მოსხენებათა ანოტაციები			
1	პრობლემის აქტუალობა იმაში მდგომარეობს, რომ დახმარებისა და ადამიანთა ჯანმრთელობის ხარისხი, სიკვდილიანობა	გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სამსახურში,	გაუმჯობესდება სამედიცინო დახმარების ინვალიდობა და სამსახურში,

	<p>კარდიოქირურგიულ პრაქტიკაში, სამოქალაქო თავდაცვის, კატასტროფების და სამხედრო-საველე მედიცინის სამსახურების საქმიანობაში. გარდა ამისა, პროექტის მსვლელობაში შექმნილი აპარატის სერიული ქარხნული წარმოება, მისი დაბალი ღირებულებისა და კონსტრუქციული სიმარტივის გამო, არ მოითხოვს მაღალტექნოლოგიური ინდუსტრიისა და დიდი სიმძლავრის საწარმოების გამოყენებას და, შესაბამისად, შესაძლებელია საქართველოშიც.</p>
2	<p>აღწერილია ექსტრაკორპორული სისხლმომოქცევის ისეთი პრინციპულად ახალი სამედიცინო მოწყობილობა და სამკურნალო მეთოდი, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის გულის უცნობი ეთიოლოგიის, მწვავე უკმარისობის შემდგომი ან პოსტრავმული გაჩერების დროს სასიცოცხლო მნიშვნელობის ორგანოების ადექვატურ სისხლმომოქცევას და მათი ფუნქციის შენარჩუნებას.</p>
3	<p>განიხილება თეორიული საკითხები, რომლებიც ეხება ღვიძლის წილის ტრანსპლანტაციისა და რეგენერაციის შესასწავლი მოდელების შემუშავებას ორგანოს დელიმფატიზაციისა და დენერვაციის პირობებში.</p>
4	<p>ნაჩვენებია ღვიძლის ტრანსპლანტატის პერფუზიული კონსერვაციის თავისებურებები და შესაძლებლობები ორიგინალური კონსტრუქციის ტუმბოთი, რომელიც საშუალებას იძლევა ღვიძლის არტერიაში საპერფუზიო ხსნარი (მათ შორის, აუტო-სისხლი) მიწოდებული ოქნას პულსური ნაკადით, ხოლო კარის ვენაში - არაპულსური (ტუმბოებისათვის ტრადიციული) ნაკადით.</p>
5	<p>ნაჩვენები იქნა, რომ ღვიძლის რეგენერაციის მექანიზმების კვლევისადმი მიძღვნილ ნაშრომთა სიმრავლის ფონზე, გარკვეულწილად პარადოქსულია ის ფაქტი, რომ პრაქტიკულად შეუსწავლელია აპ-ის შემდგომი ღვიძლის რეგენერაციის, მათ შორის გადანერგილი „ნახევარი“ ღვიძლის რეგენერაციის სტრუქტურული მხარე; დასმულია კითხვები, თუ:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• როგორი შენებისაა რეგენერირებული ღვიძლი? რითი განსხვავდება ის ნორმული ღვიძლისაგან?</li> <li>• როგორ იქცევა პორტული სისხლის კალაპოტი (პორტული ვენის დატოტიანება), ანუ ის სტრუქტურა რომელიც უშუალოდ განიცდის პორტული წნევის ცვლილებას?</li> <li>• როგორ იქცევა ღვიძლის სხვა მილოვანი სტრუქტურები? როგორ „მიჰყვება“ ისინი ორგანოს მოცულობაში ზრდას: „ახალი დატოტიანების“ გაჩენით თუ ძველი ტოტების „დაგრძელებით“?</li> <li>• რა ტრანსფორმაციას განიცდის ღვიძლის წილაკის მიკროცირკულაციური მოდული?</li> <li>• რით განსხვავდება (თუ განსხვავდება) ნარეზექციები და გადანერგილი ღვიძლის რეგენერაციის სტრუქტურა?</li> </ul> <p>მოწოდებულია ამ კითხვებზე პასუხის გაცემისათვის შემუშავებული, დასაბუთებული გეგმა.</p>

**ბ) უცხოეთში**

№	მომხსენებელი/	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების
---	---------------	--------------------	-------------------



	მომხსენებლები		დრო და ადგილი
1	Khodeli N.G., Chkhaidze Z.A., Partsakhashvili J.D., Pilishvili O.D.	Education and Advancement of Surgical Skills in Scientific and Training Center of Experimental Surgery, Tbilisi State University (New Practice in Georgia).	3-5 აპრილი 2014 წ. Thessaloniki, (Greece).
2	Manana Kakabadze, Mtvarisa Kordzaia, Mikheil Jangavadze, Dimitri Kordzaia	Pre-proliferative step of typical ductular reaction.	18th Congress of International Federation of Associations of Anatomists (IFAA 2014), Beijing, China – September, 2014
3	D. Kordzaia, N. Khodeli, Z. Chkhaidze	Morphological changes of dog liver preserved by different methods	18th Congress of International Federation of Associations of Anatomists (IFAA 2014), Beijing, China – September, 2014
4	D. Kordzaia, G. Lobzhanidze	Living Donor Liver Transplantation: Challenge for Further Experimental Investigations	5th Congress of South Eastern European Medical Forum (SEEMF); September, 2014
5	დომიტრი კორძაია, მანანა კაკაბაძე	რეპექციის შემდგომ დარჩენილი და გადანერგილი ნახევარი ღვიძლის რეგენერაცია ანუ რეგენერაცია დენერვაცია-დელიმფატიზაციის ფონზე. კითხვები მოითხოვს პასუხს (რუსულად)	Международная научно-практическая конференция “Современные тенденции развития хирургии”, посвященная 125-ти летию С.Д. Асфендиярова и 80-ти летию кафедры общей хирургии КазНМУ, в рамках Дней Университета
მოსხენებათა ანოტაციები			
1	<p>სწავლების მიზანია, რომ გამოვიკვლიოთ და განვაფიქსიროთ ახალი მეთოდები და მიღწევები, რომ მივცეთ სტუდენტებს მოტივაცია ქირურგიული უნარების სწავლაში და განმტკიცებაში. ჩვენ შევიმუშავეთ სპეციალური პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს დამამთავრებელ კურსზე მყოფი სტუდენტების ჩართვას ექსპერიმენტულ კვლევებში და მათი უნარების განვითარებას. სტუდენტთა სწავლება მოიცავს ორ საფეხურს: პირველ საფეხურზე (I – VI სემესტრი) სტუდენტები სწავლობენ ქირურგიის ზოგად ჩვენებს; მეორე საფეხურზე (VII – XII სემესტრი) სტუდენტები ირჩევენ ქირურგიულ განხრას (აბდომინალური, გულმკერდის, პლასტიკური, სისხლძარღვთა, მიკრო-ქირურგია) და/ან ანესთეზიოლოგია-რეანიმაციის. 2005- 2010 წლებში 5 ჯგუფში გადანაწილებულმა 30 სტუდენტმა გაიარა 1080 საათიანი სწავლების პროგრამა, რომელიც ასევე მოიცავდა ინდივიდუალური მუშაობის საათებს. როდესაც ამ სტუდენტების (სამიზნე ჯგუფი) ცოდნა და უნარები შევადარეთ იგივე წლის სტუდენტებს, რომლებიც არ მონაწილეობდნენ ამ პროგრამაში (საკონტროლო ჯგუფი - 30 სტუდენტი), აღმოვაჩინეთ მნიშვნელოვანი განსხვავება სამიზნე ჯგუფსა და საკონტროლო ჯგუფს შორის:</p> <p>სამიზნე ჯგუფში სამეცნიერო შედეგები იყო <math>\geq B</math>, როცა საკონტროლო ჯგუფში იყო <math>\geq C</math>. სამეცნიერო კონფერენციებში სტუდენტთა ჩართულობა (12 vs 3). სამიზნე ჯგუფი - 12; საკონტროლო ჯგუფი - 3.</p> <p>მონაწილეობა კვლევით მასალაში (9 vs 2). სამიზნე ჯგუფი - 9; საკონტროლო ჯგუფი - 2.</p>		

	<p>სამიზნე ჯგუფის ყველა სტუდენტი ადვილად ადაპტირებდნენ სხვადასხვა ქირურგიულ კლინიკებში. 23 სტუდენტი სწავლობს რეზიდენტურაში, 5 – დოქტორანტურაში. 7 სტუდენტი მუშაობს შვეიცარიის, გერმანიის, პოლონეთის და უკრაინის კლინიკებში. მიღებული შედეგი ცხადყოფს, რომ სტუდენტების ადრეული მომზადება სპეციალური პროგრამით, რომელიც მიმართულია პრაქტიკულ-კლინიკური უნარების განვითარებაში აუმჯობესებს აკადემიურ შედეგებს და სტუდენტების ცოდნას და უნარს ქირურგიაში</p>
2	<p>ნაღვლის საერთო სადინარის ოკლუზიის პირობებში განვითარებული დუქტულური რეაქციის (I ტიპის დუქტულური რეაქცია) კვლევით, დუქტულური რეაქციის, ანუ ჰისტოლოგიურ ანათლებზე დუქტულური სანათურების (პროფილების) რაოდენობის მატების პროცესში გამოყოფილია ორი ბსაფეხური: 1. პრეპროლიფერაციული (როდესაც ბილიური დუქტულური პროფილების მატება ხდება არსებული, მაგრამ „უჩინარი“ დუქტულების გაგანიერების გამო) და 2. პროლიფერაციული (როდესაც ბილიური დუქტულური პროფილების მატება ხდება ამ დუქტულების პროლიფერაციის გამო).</p>
3	<p>ნაშრომში შედარებულია ექსპერიმენტში ღვიძლის ტრანსპლანტატის მორფოლოგია მისი კონვენციური მეთოდით, ერთი მხრივ, და მანქანით ნორმოთერმული სისხლის პერფუზიით, მეორე მხრივ, კონსერვაციის პირობებში (6 ცხოველი). გაკეთებულია დასკვნა, რომ მანქანით ნორმოთერმული სისხლით პერფუზიით წარმოებული კონსერვაცია უკეთეს შედეგებს იძლევა.</p>
4	<p>ნაჩვენებია ღვიძლის ტრანსპლანტატის პერფუზიული კონსერვაციის თავისებურებები და შესაძლებლობები ორიგინალური კონსტრუქციის ტუმბოთი, რომელიც საშუალებას იძლევა ღვიძლის არტერიაში საპერფუზიო ხსნარი (მათ შორის, აუტო-სისხლი) მიწოდებული ოქნას პულსური ნაკადით, ხოლო კარის ვენაში - არაპულსური (ტუმბოებისათვის ტრადიციული) ნაკადით.</p>
5	<p>ნაჩვენებია იქნა, რომ ღვიძლის რეგენერაციის მექანიზმების კვლევისადმი მიძღვნილ ნაშრომთა სიმრავლის ფონზე, გარკვეულწილად პარადოქსულია ის ფაქტი, რომ პრაქტიკულად შეუსწავლელია კპ-ის შემდგომი ღვიძლის რეგენერაციის, მათ შორის გადანერგილი „ნახევარი“ ღვიძლის რეგენერაციის სტრუქტურული მხარე; დასმულია კითხვები, თუ:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• როგორი შენებისაა რეგენერირებული ღვიძლი? რითი განსხვავდება ის ნორმული ღვიძლისაგან?</li> <li>• როგორ იქცევა პორტული სისხლის კალაპოტი (პორტული ვენის დატოტიანება), ანუ ის სტრუქტურა რომელიც უშუალოდ განიცდის პორტული წნევის ცვლილებას?</li> <li>• როგორ იქცევა ღვიძლის სხვა მილოვანი სტრუქტურები? როგორ „მიჰყვება“ ისინი ორგანოს მოცულობაში ზრდას: „ახალი დატოტიანების“ გაჩენით თუ ძველი ტოტების „დაგრძელებით“?</li> <li>• რა ტრანსფორმაციას განიცდის ღვიძლის წილაკის მიკროცირკულაციური მოდული?</li> <li>• რით განსხვავდება (თუ განსხვავდება) ნარეხექციები და გადანერგილი ღვიძლის რეგენერაციის სტრუქტურა?</li> </ul> <p>მოწოდებულია ამ კითხვებზე პასუხის გაცემისათვის შემუშავებული, დასაბუთებული გეგმა.</p>

**\* საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე  
შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები**

№	გეგმით გათვალისწინებული და შესრულებული სამუშაოს დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	ნადვლის ბუშტის დაზიანების ფორმისა და ხარისხის კორელაცია ელიცობაქტერ სპპ-ით ინფიცირებასთან	დიმიტრი კორძია	სოფიო კანდელაკი (დოქტორანტი) რუსუდან ჯოჯუა მანანა კაკაბაძე
<b>დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)</b>			
<p>2014 წელს განხორციელდა ლიტერატურის ანალიზი და კონცეპტუალური ხედვის შემუშავება, რაც აისახა სტატიაში (იხ. ზემოთ). კერძოდ: Helicobacter-ის გვარის ბაქტერიებმა შესაძლოა მოახდინონ ხერხემლიანთა თითქმის ყველა სახეობის ინფიცირება. ჰელიკობაქტერიების კოლონიზაცია ძირითადად ხდება საჭმლის მომწელებელი სისტემის სხვადასხვა უბანში, უმეტეს წილად კუჭ-ნაწლავში, ბილიურ ტრაქტში, ზოგჯერ ღვიძლის ქსოვილშიც. აღსანიშნავია, რომ პაციენტებიდან ჯერჯერობით ვერ მოხერხდა Helicobacter-ების კულტურის მიღება, თუმცა პჯრ (PCR) მეთოდით ჰელიკობაქტერიების სახეობების არსებობა არაერთგზისაა დადასტურებული. ასევე, მრავალმა კვლევამ დაადასტურა კავშირი ღვიძლში ჰელიკობაქტერიების დნმ-ის არსებობასა და ჰეპატოცელულურ კარცინომას შორის.</p> <p>ჰეპატობილიური პათოლოგიების დროს საჭიროა დამტკიცდეს, ჰელიკობაქტერიების დნმ-ის ღვიძლში აღმოჩენა ადასტურებს მიკრობის ჰეპმარიტ კოლონიზაციას თუ მხოლოდ ჰელიკობაქტერიის და/ან მისი დნმ-ის ენტერო-ჰეპატურ ცირკულაციის მაჩვენებელია. მნიშვნელოვანია ასევე, ცალკეული სახეობების შტამების იდენტიფიკაცია, რაც საფუძველს შეუქმნის მათი როლის განსაზღვრას დაავადებების პათოგენეზში. ჰელიკობაქტერიები, ისევე როგორც ნაწლავური ფლორის სხვა წარმომადგენლები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან ღვიძლსა და ნადვლის გზებში შეიძლება მოხვდეს ორიგზით: 1. ტრანსლოკაციის შედეგად (პორტული სისხლის მიმოქცევით) და 2. ფატერის დვრილიდან (აღმავალიგზით).</p> <p>ბილიური პათოლოგია იწვევს ბაქტერიების, მათ შორის, სავარაუდოდ, ასევე ჰელიკობაქტერიების ტრანსლოკაციას და არა პირიქით (თუმცა ეს საკითხი ძალზე მწირადაა გამოკვლეული). ჩვენი მიზანია გავარკვიოთ, თუ რამდენად მონაწილეობს თვითონ ჰელიკობაქტერიები ჰეპატობილიური დაავადებების განვითარებაში. საჭიროა შემდგომი კლინიკური და ექსპერიმენტული კვლევები, რათა განისაზღვროს ჰეპატობილიური სისტემის პათოლოგიის ინიციაცია/პათოგენეზში ჰელიკობაქტერიების სხვადასხვა სახეობების მონაწილეობა.</p> <p>ამასთანავე სისტემატიზებული იქნა თსუ მორფოლოგიის ინსტიტუტში დიაგნოზდასმული ნადვლის ბუშტის პათოლოგიის 500-ზე მეტი შემთხვევა. მიღებული ცხრილების სტატისტიკური ანალიზი ამჟამად მიმდინარეობს.</p>			

**ინფექციურ დაავადებათა და კლინიკური იმუნოლოგიის დეპარტამენტი.  
ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის ს-პ ცენტრი.**

სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი თენგიზ ცერცვაძე.  
სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

სრული პროფესორი: თენგიზ ცერცვაძე.

ასოცირებული პროფესორი: ლალი შარვაძე.

ასისტენტ პროფესორი: მანანა თოდუა

მოწვეული პედაგოგები: ნატალია ბოლოკაძე, მარინა ენდელაძე.

დოქტორანტები: ნიკოლოზ ჩხარტიშვილი, მარინე ქარჩავა, ნათია დვალი, ლანა გაწერელია, მარიამ სვანიძე, აკაკი აბუთიძე, ნინო რუხაძე.

**II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2014 წლისათვის  
დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები**

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1			
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			

2	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები

**III. საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული  
სამეცნიერო-კვლევითი პროექტები**

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	“აივ ინფექციის ინდიკატორული დაავადებების კვლევა ევროპის რეგიონში (HIDES)”	კოპენჰაგენის აივ ინფექცია/შიდსის პროგრამა, კოპენჰაგენის უნივერსიტეტი. დანია.	ნიკოლოზ ჩხარტიშვილი	ნიკოლოზ ჩხარტიშვილი, ნინო რუხაძე, აკაკი აბუთიძე, მაია ცინცაძე, გიორგი ხეჩიაშვილი.

**დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)**

ევროპის რეგიონში აივ ინფიცირებული პაციენტების უმრავლესობა არ არის დიაგნოსტირებული. არადიაგნოსტირებული აივ ინფექცია საფრთხეს უქმნის ინფიცირებულ ადამიანს, ვინაიდან ამ დროს აივ ინფექციის სპეციფიური მკურნალობა გვიანდება. ამასთანავე, აივ ინფიცირებული ადამიანი, რომელმაც არ იცის საკუთარი აივ სტატუსი, საშიშროებას წარმოადგენს საზოგადოებისათვის, ვინაიდან ცნობილია, რომ ის პირები, რომლებმაც არ იციან, რომ ისინი აივ ინფიცირებულნი არიან, უფრო დიდი რისკს წარმოადგენენ აივ ინფექციის გადაცემის თვალსაზრისით, ვიდრე ის პაციენტები, რომელთაც იციან საკუთარი სტატუსის შესახებ.

ზემოთაღნიშნული კვლევის ამოცანაა შესწავლილ იქნას აივ ინფექციის პრევალენტობა (გავრცელება) სპეციფიური დაავადებების ან პათოლოგიური მდგომარეობების მქონე იმ პაციენტებში, რომელთაც ჯერ არ ჩატარებიათ გამოკვლევა აივ ინფექციაზე და საჭიროებენ მკურნალობას თავისი დაავადების გამო.

ამ კვლევაში ევროპის მასშტაბით ჩართული იქნებიან ის პაციენტები, რომელთაც აღენიშნებათ აივ ინფექციის 11 სხვადასხვა ინდიკატორული დაავადებიდან 1 დაავადება მაინც.

კვლევა ექიმებს და ჯანდაცვის მუშაკებს დაეხმარება იმის უკეთ გარკვევაში, თუ სად გადიან მკურნალობას არადიაგნოსტირებული აივ ინფიცირებული პაციენტები. მრავალი აივ ინფიცირებული ავადმყოფი ხვდება სამედიცინო დაწესებულებებში, მაგრამ მათი აივ ინფიცირების სტატუსი რჩება გაურკვეველი. ამ კვლევაში თქვენი მონაწილეობა ევროპის რეგიონში ექიმებს და ჯანდაცვის ექსპერტებს დაეხმარება იმის განსაზღვრაში, თუ ჯანდაცვის სისტემის რომელ რგოლში უნდა დაინერგოს აივ ინფექციაზე ტესტირება, როგორც ავადმყოფების რუტინული „მოვლის“ (მეთვალყურეობა/მკურნალობა) პროცესის ერთ-ერთი ნაწილი.

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	„აივ/შიდსის და ტუბერკულოზის კონინფექციის კვლევა ევროპის რეგიონში.“	კოპენჰაგენის აივ ინფექცია/შიდსის პროგრამა. კოპენჰაგენის	ნატალია ბოლოკაძე	ნატალია ბოლოკაძე, ნინო ლანჩავა, ქეთევან მშვიდლობაძე.

	პროსპექტული მულტიკოპორტული კვლევა“.	უნივერსიტეტი. დანია.		
<p style="text-align: center;"><b>დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)</b></p> <p><b>აივ/შიდსის და ტუბერკულოზის კონფექციის შესწავლა ევროპის რეგიონში. პრესპექტული მულტიკოპორტული კვლევა.</b></p> <p>აივ/შიდსით ავადმყოფებში ტუბერკულოზი ყველაზე გავრცელებულ კონფექციას წარმოადგენს. მაღალაქტიური ანტირეტროვირუსული მკურნალობა გავლენას ახდენს აივ/შიდსის და ტუბერკულოზის კონფექციის კლინიკურ მიმდინარეობაზე, დაავადების მენეჯმენტზე და პროგნოზზე, ასევე კონფექციის ინციდენტობაზე. ევროპის რეგიონის ქვეყნები ტუბერკულოზის გავრცელების მხრივ განსხვავდებიან.</p> <p>აივ/შიდსის და ტუბერკულოზის კონფექციის მკურნალობა სერიოზულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. კერძოდ, შიდსით ავადმყოფებში ანტირეტროვირუსული მკურნალობის და ტუბერკულოზის მკურნალობის დაწყების დროის საკითხი კვლავ დიდიხარის რჩება, იმუნოდეფიციენციის სინდრომის განვითარების მაღალი რისკის გამო.</p> <p>კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს ზემოთაღნიშნული საკითხების შესწავლა და ანალიზი ევროპის რეგიონის სხვადასხვა ქვეყანაში. კვლევის შედეგები ექსპერტებს დაეხმარება აივ/შიდსის და ტუბერკულოზის კონფექციის უკეთესი მენეჯმენტის გაუმჯობესებაში.</p>				

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	“აივ/შიდსით ავადმყოფთა მკურნალობა და მოვლა“.	შიდსთან, ტუბერკულოზთან და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდი	<b>თ. ცერცვაძე</b>	ნ. ჩხარტიშვილი, ლ. შარვაძე, ფ. გაბუნია, ნ. ბოლოკაძე, ა. აბუთიძე, ო. ჩოკოშვილი, ნ. ბადრიძე, ნ. მაჭარაშვილი, მ. ქარჩავა, ლ. გაწერელია, ლ. ძიგუა, მ. მირზიაშვილი და სხვ.
<p style="text-align: center;"><b>დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)</b></p> <p><b>მიზანი და ამოცანები</b></p>				

პროექტის ძირითადი მიზანია აივ/შიდსით ავადმყოფების სიცოცხლის ხანგრძლივობისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება ანტირეტროვირუსულ (არვ) მკურნალობაზე უნივერსალური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის გზით.

პროექტით გათვალისწინებული მიზანი მიღწეულ იქნება ხუთი ძირითადი ამოცანის შესრულებით გზით:

ამოცანა 1: აივ/შიდსით დაავადებულთა უზრუნველყოფა არვ მკურნალობით

ამოცანა 2: აივ/სივ/სივ/სივ კონფიკციის მართვა

ამოცანა 3: არვ მკურნალობის მობილური ბრიგადების მუშაობის უზრუნველყოფა

ამოცანა 4: პალიატიური მზრუნველობა

ამოცანა 5: არვ მედიკამენტების მიმართ რეზისტენტობის კვლევა

**ამოცანა 1: აივ/შიდსით დაავადებულთა უზრუნველყოფა არვ მკურნალობით**

არვ მკურნალობასთან დაკავშირებული სერვისების მიწოდება ქვეყნის მასშტაბით განხორციელდება უშუალოდ შიდსის ცენტრში, ქ. თბილისში, და 4 რეგიონულ დაწესებულებაში: ქქ. ქუთაისში, ბათუმში, ზუგდიდსა და სოხუმში.

არვ მკურნალობაზე მყოფი პაციენტების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. აღნიშნული ზრდა განპირობებულია პროექტის ეფექტურობით, რომელიც უზრუნველყოფს პაციენტთა შენარჩუნებას მკურნალობაზე და დროულად უზრუნველყოფს ახალი სამკურნალო გაიდლაინების დანერგვას, რომლებიც მკურნალობის ადრეულ ეტაპზე დაწყების რეკომენდაციას იძლევიან. 2013 წლის დეკემბრიდან მკურნალობა იწყება CD4 <500 მაჩვენებლის დროს, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის უკანასკნელი რეკომენდაციების შესაბამისად.

შიდსის ცენტრის მიერ შემუშავებული აივ/შიდსის მკურნალობისა და მოვლის სერვისების მიწოდების ეფექტური მოდელი უზრუნველყოფს პაციენტების მაღალ ჩართულობას კლინიკურ სერვისებში და შესაბამისად არვ მკურნალობაზე მაღალ ხელმისაწვდომობას. მოდელი მოიცავს კლინიკური მონიტორინგის სპეციალურ ალგორითმს, რომელიც ითვალისწინებს თითოეული პაციენტის რეგულარულ (წელიწადში სამჯერ) გამოკვლევას ძირითად კლინიკურ და ლაბორატორიულ პარამეტრებზე. გარდა ამისა, წარმატებით ფუნქციონირებს პაციენტთა მხარდაჭერის სერვისები.

აივ/შიდსის კლინიკური მართვა საქართველოში ხორციელდება კლინიკური პრაქტიკის ეროვნული გაიდლაინების მიხედვით, რომელიც პირველად შემუშავდა 2004 წელს. გაიდლაინის უკანასკნელი რევიზია განხორციელდა 2013 წლის მიწურულს, რომლის მიხედვითაც იწარმოებს პაციენტების მართვა 2014 წელს. გაიდლაინის აღნიშნული ვერსია ძირითადად ეფუძნება ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის 2013 წლის და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონული ოფისის 2012 წლის პროტოკოლებს.

პროექტის განხორციელების მნიშვნელოვანი კომპონენტია არვ მკურნალობის მიწოდების და პროექტის განხორციელების მონიტორინგი. აღნიშნული მოიცავს, როგორც უშუალოდ სამედიცინო საქმიანობის, ისე მონაცემთა მართვის და პროექტის განხორციელების

მონიტორინგს. ამ მიზნით ჩამოყალიბებულია არც მონიტორინგის და ლაბორატორიული ხარისხის კონტროლის ჯგუფები, რომლებიც ერთობლივად განახორციელებენ სერვისების მიწოდების ხარისხის მონიტორინგს ეროვნული გაიდლაინით გათვალისწინებულ სტანდარტებთან მიმართებაში. გარდა ამისა, განხორციელებდა რეგინული ცენტრების საქმიანობის მონიტორინგი, პროექტით გათვალისწინებული ყველა ღონისძიებების მიმართულებით.

## **ამოცანა 2: აივ/С ჰეპატიტის კონფექციის მართვა**

შიდსის ცენტრის ძალისხმევით და გლობალური ფონდის ხელშეწყობით პირველად აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში 2011 წლიდან საქართველოში ყველა აივ/HCV კონფექციის მქონე ავადმყოფებისათვის ხელმისაწვდომია C ჰეპატიტის საწინააღმდეგო უფასო მკურნალობა. ეს არის ქვეყანაში პირველი შემთხვევა, როდესაც მოსახლეობის კონკრეტული სეგმენტი იღებს C ჰეპატიტის უფასო მკურნალობას საერთაშორისო სტანდარტებით.

პროექტის ფარგლებში გაგრძელდება აივ/С ჰეპატიტით კონფიცირებული პაციენტების C ჰეპატიტზე მკურნალობა პეგილირებული ინტერფერონის და რინავირინის კომბინაციით. წლის ბოლომდე იგეგმება სულ 150 აივ/С ჰეპატიტით კონფიცირებული პაციენტის ჩართვა C ჰეპატიტის სამკურნალო პროგრამაში.

## **ამოცანა 3: არც მკურნალობის მობილური ბრიგადების მუშაობის უზრუნველყოფა**

არც მკურნალობის წარმატების მნიშვნელოვანი საწინდარია მკურნალობაზე დამყოლობის მაღალი ხარისხი. 2008 წლიდან საქართველოში ამოქმედდა დამყოლობის მონიტორინგის მობილური ბრიგადების სამსახური, რომლებიც პაციენტებს ბინაზე აწვდიან დამყოლობასთან დაკავშირებულ მხარდაჭერისა და მონიტორინგის სერვისებს. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული სამსახურის დანერგვის შემდეგ მედიკამენტების გატანაზე დაფუძნებული დამყოლობის საშუალო წლიური მაჩვენებელი მაჩვენებელი 83%-დან 92%-მდე გაიზარდა 2008-2011 წლებში.

აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში გაგრძელდება პაციენტების ბინაზე მომსახურება. ღონისძიების მიზანია მოცული იყოს პაციენტების მაქსიმალური რაოდენობა, პრიორიტეტი მიენიჭება იმ პაციენტებს, რომლებსაც აღენიშნებათ სუბ-ოპტიმალური დამყოლობა არსებული ინსტრუმენტების ან ექიმის შეხედულების მიხედვით, არ წაუღიათ მედიკამენტი გარკვეული დროის მანძილზე ან აღენიშნებათ სუბ-ოპტიმალური პასუხი არც მკურნალობაზე. მობილური ბრიგადები იმუშავენ თბილისისა და რეგიონული ცენტრების ბაზაზე.

## **ამოცანა 4: პალიატიური მზრუნველობა**

აღნიშნული ღონისძიების განხორციელებას უზრუნველყოფს საქართველოს პალიატიური მზრუნველობის ეროვნული ასოციაცია, რომელიც ქვეყანაში პალიატიური მზრუნველობის დარგის, მათ შორის აივ/შიდსის კონტექსტში პალიატიური მზრუნველობის ფუძემდებელია. ორგანიზაცია ახორციელებს აღნიშნულ ღონისძიებას 2008 წლიდან და ითვალისწინებს აივ ინიფიცირებული პაციენტების ბინაზე მომსახურებას პალიატიური მზრუნველობის მობილური ბრიგადების მეშვეობით. ბინაზე მომსახურების პაკეტი ითვალისწინებს როგორც სამედიცინო დახმარების აღმოჩენას, მათ შორის ესენციური მედიკამენტებით, ისე ფსიქო-სოციალური და სულიერი მხარდაჭერის გაწევას. აღნიშნული სერვისის მიწოდება განხორციელდება



პალიატიური დახმარების მობილური ბრიგადების მეშვეობით.

**ამოცანა 5: არე მედიკამენტების მიმართ რეზისტენტობის კვლევა**

აივ წამლებისადმი რეზისტენტობა საზოგადოებრივი ჯანდაცვის მნიშვნელოვანი პრობლემაა, წამლებისადმი რეზისტენტული ვირუსის შტამების აღმოცენება გარდაუვალია აივ რეპლიკაციისა და მუტაციების განვითარების მაღალი სიხშირის, აგრეთვე არე მკურნალობის მთელი ცხოვრების მანძილზე მიღების გათვალისწინებით. აივ წამლებისადმი რეზისტენტობის განვითარება და მისი შემდგომი გავრცელება სერიოზულ საფრთხეს უქმნის ართ-ს ეფექტურობას პოპულაციურ დონეზე. ამიტომ, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია (ჯანმო) რეკომენდაციას აძლევს ქვეყნებს შეიმუშავონ და დანერგონ აივ წამლებისადმი რეზისტენტობის პრევენციისა და შეფასების სტრატეგია, რათა შენარჩუნებულ იქნას არე რეჟიმების ეფექტურობა. წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს საქართველოში ზემოაღნიშნული სტრატეგიის დანერგვას ჯანმოს მიერ შემოთავაზებული რეკომენდაციების შესაბამისად.

აღნიშნული ამოცანის ფარგლებში ჩატარდება პირველადი რეზისტენტობის კვლევა ახალდიაგნოსტირებულ პაციენტებში და განხორციელდება აივ რეზისტენტობაზე ადრეული გაფრთხილების ინდიკატორების (Early Warning Indicator) მონიტორინგი.

**IV პუბლიკაციები:**

**1) საქართველოში**

ა) მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ანოტაციები				

ბ) სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	<b>თენგიზ ცერცვაძე,</b>	„აივ	ინფექციური	111
2	ნინო გოჩიტაშვილი	ინფექცია/შიდსით	პათოლოგიის,	
3	მაია ლომთაძე, მაკა სვანიძე, <b>ლალი შარვაძე,</b>	ავადმყოფთა მკურნალობა და მოვლა“.	შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-	

	<p>ლანა გაწერელია, ნიკოლოზ ჩხარტიშვილი, ცისანა შარტავა</p>	<p>(კლინიკური სახელმძღვანელო რეკომენდაცია – გაიდლაინი)  გაიდლაინი განახლდა 2014 წლის რეკომენდაციების მიხედვით</p>	<p>პრაქტიკული ცენტრი  შიდსთან, ტუბერკულოზთან და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდი</p>	
--	--	---	---	--

ანოტაცია

აივ ინფექციის ანტივირუსული თერაპია 1996 წელს მისი პირველად შემოსვლის შემდეგ მყარად უმჯობესდება. ეს დაკავშირებულია ახალი მოქმედების მექანიზმის მქონე მედიკამენტების შემუშავებებთან, ეფექტურობის და წამლის მიმართ რეზისტენტული ვირუსის მიმართ აქტივობის გაუმჯობესებასთან, დოზირების მოხერხებულობასა და უკეთეს ამტანობის პროფილთან. მოცემული კლინიკური რეკომენდაციის მიზანს წარმოადგენს არსებულ უახლეს სამეცნიერო მტკიცებულებებზე დაფუძნებული ინფორმაციის და შესაბამისი რეკომენდაციების მიწოდება აივ ინფიცირებულ/შიდსით დაავადებულ პაციენტთა ანტირეტროვირუსული მკურნალობის და მეთვალყურეობის შესახებ ექიმი სპეციალისტებისთვის და ყველა დაინტერესებული პირისათვის.

გაიდლაინის დანერგვა საქართველოში ხელს შეუწყობს აივ ინფექცია/შიდსის სწორ მართვას, პაციენტთა სიცოცხლის გახანგრძლივებას და სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესებას, საზოგადოებაში დაავადების გავრცელების შემცირებას.

მოცემული კლინიკური რეკომენდაცია განიხილავს აივ ინფიცირებულ/შიდსით დაავადებულ პაციენტთა კლინიკურ მართვას, კერძოდ, მოზარდ და ზრდასრულ (15 წელზე) აივ ინფიცირებულთა პირველად შეფასებას, არე თერაპიის დაწყებას, არე მკურნალობის პირველ, მეორე რიგს და გადარჩენის რეჟიმს, ართ წარმატების და არაეფექტურობის კრიტერიუმებს, არაეფექტურობის მიზეზებს და მათ მართვას, თერაპიაზე დამყოლობის მნიშვნელობას და მისი მიღწევის გზებს, არე თერაპიაზე მყოფ პაციენტთა კლინიკურ და ლაბორატორიულ მეთვალყურეობას. გაიდლაინი არ მოიცავს რეკომენდაციებს ბავშვთა ასაკის (< 15 წელზე) აივ ინფიცირებულთათვის.

წარმოდგენილი კლინიკური რეკომენდაცია განკუთვნილია საქართველოში აივ ინფექცია/შიდსით დაავადებულთა მართვაში ჩართული ექიმებისთვის და სხვა დაინტერესებული პირებისთვის.

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3	<p><b>თენგიზ ცერცვაძე</b> ნატალია ბოლოკაძე ფატი გაბუნია, ქეთევან მშვიდლობაძე, მაია ლომთაძე, ნინო გოჩიტაშვილი, <b>ლალი შარვაძე,</b></p>	<p>ოპორტუნისტული ინფექციების მკურნალობა  კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია- გაიდლაინი</p>	<p>ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო- პრაქტიკული ცენტრი</p>	<p style="text-align: center;"><b>98</b></p>

აკაკი აბუთიძე, ნიკოლოზ ჩხარტიშვილი.	<p>აივ ანტისხეულებზე რუტინული ტესტირების დანერგვისთვის ჯანდაცვის დაწესებულებებში და აივ ინფექცია/შიდსის გამოვლენის და დიაგნოსტიკის გაუმჯობესებისთვის საქართველოში</p> <p><i>გაიდლაინი განახლდა 2014 წლის რეკომენდაციების მიხედვით</i></p>	შიდსთან, ტუბერკულოზთან და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდი	
---	---	---	--

ანოტაცია

ანტირეტროვირუსული თერაპიის ერაში მნიშვნელოვნად შემცირდა ოპორტუნისტული ინფექციები და მათთან ასოცირებული სიკვდილობა აივ ინფექციის დროს. მიუხედავად ამისა, უკანასკნელმა კვლევებმა აჩვენა, რომ ოპორტუნისტული ინფექციები კვლავ რჩება აივ ინფიცირებულ პაციენტებში სიკვდილობის ერთ-ერთი მნიშვნელოვან მიზეზად. დიდი ბრიტანეთის ჯანმრთელობის დაცვის სააგენტოს მიერ ჩატარებული ანალიზით აივ ინფიცირებული პაციენტების 19%-ში CD4 უჯრედების აბსოლუტური რიცხვი იყო ნაკლები 200/მმ<sup>3</sup>-ზე, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან რისკს ოპორტუნისტული ინფექციების განვითარებისათვის.

აღნიშნული გაიდლაინი შექმნილია ექიმებისთვის და ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მუშაკებისათვის, რათა დაეხმაროს მათ აივ ინფიცირებულ პაციენტებში მოსალოდნელი ან დადგენილი ოპორტუნისტული ინფექციების შესწავლასა და მართვაში. გაიდლაინის პირველ ნაწილში მოცემულია თავები, სადაც ყველაზე ტიპური შიდს-ინდიკატორული ოპორტუნისტული ინფექციები განხილულია ორგანოთა სისტემების მიხედვით, მაგ., ნერვული სისტემის, სასუნთქი სისტემის და საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებები. მეორე ნაწილში განხილულია ოპორტუნისტული ინფექციები მათი გამომწვევის მიხედვით, მაგ., ჰერპესვირუსები, კანდიდები, ატიპური მიკობაქტრია და სხვა. მესამე ნაწილში კი საუბარი იქნება სპეციფიურ მდგომარეობებზე, მაგ. უცნობი ეტიოლოგიის ცხელება, ლეიშმანიოზი, სიფილისი და სხვა.

**დ) სტატიები**

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3	Tsertsvadze T, <a href="#">Karchava M</a> , <a href="#">Sharvadze</a>	Discrepancy between HCV structural and non	2014 Oct;(235):74-8.	თბილისი, საქართველო	5

	<a href="#">L, Gatserelia</a> <a href="#">L, Dolmazashvili</a> <a href="#">E.</a>	structural genes in georgian genotype two patients  Georgian Med News			
--	---	--	--	--	--

**ანოტაცია/რეზიუმე**

**სტრუქტურულ და არასტრუქტურულ გენებს შორის სხვაობა C ჰეპატიტის ვირუსის მეორე გენოტიპით ინფიცირებულ პაციენტებში.**

C ჰეპატიტის გენოტიპების მაღალი სიზუსტით დადგენა მნიშვნელოვანია როგორც მკურნალობის გამოსავლის პროგნოზირებისთვის, ასევე სწორი ანტივირუსული მკურნალობის რეჟიმების შერჩევისათვის და შესაბამისად, მკურნალობის ადექვატური გამოსავლის მიღების მიზნით.

კვლევისთვის შერჩეული იყო იმ პაციენტთა მასალა, რომელშიც ჩატარებული იყო C ჰეპატიტის გენოტიპირება სტრუქტურული გენის ამპლიფიკაცაზე დაფუძნებული Versant HCV genotyping მეთოდის მეშვეობით. ორი სხვადასხვა უბნის ამპლიფიკაციის მონაცემებზე დაყრდნობით გამოტანილია დასკვნა, რომ მეორე გენოტიპის შემთხვევაში მიღებულია 72%-ნი განსხვავება გენოტიპირების დადგენის კუთხით. ამ სხვაობის საფუძველზე სავარაუდოა, რომ მეორე გენოტიპების უმრავლესობა წარმოადგენს რეკომბინანტულ ვირუსს, რომლის სტრუქტურული ნაწილი მეორე გენოტიპია, ხოლო არასტრუქტურული - პირველი გენოტიპი.

საკვლევ მასალაში აღმოჩენილი განსხვავება იძლევა ვარაუდის საფუძველს რეკომბინანტული ფორმების არსებობის შესახებ. კვლევის შედეგები წარმოშობს ამ ნიმუშების დეტალური კვლევის აუცილებლობას სექვენირების და ღრმა ფოლოგენეტიკური ანალიზით.

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3	Gatserelia L, Sharvadze L, Karchava M, Dolmazashvili E, Tsertsvadze T.	Occurrence of occult HCV infection among Hiv infected patients in Georgia.  Georgian Med News	2014 Jan;(226):37-41.		

**ოკულტური C ჰეპატიტი აივ ინფიცირებულ პაციენტებს შორის საქართველოში**

პილოტურ კვლევაში ანალიზისთვის შეირჩა აივ/შიდსით ავადმყოფთა სამი ჯგუფი: 1 -ლი

ჯგუფი - აივ/შიდსით ავადმყოფები ღვიძლის დაავადებების გარეშე (98 ავადმყოფი), მე-2 ჯგუფი - უცნობი ეტიოლოგიის ღვიძლის დაავადებების მქონე აივ/შიდსით ავადმყოფები (34 ავადმყოფი) და მე-3 ჯგუფი - HIV/HVB კოინფექციით ავადმყოფები (29 ავადმყოფი). HCV რნმ გამოკვლეულ იქნა პერიფერიული სისხლის მონონუკლეარების (PBMCs) ნიმუშებში რეალური დროის პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციის მეთოდით. HCV გენოტიპირება განისაზღვრა შებრუნებითი ჰიბრიდიზაციის მეთოდით. ღვიძლის ფიბროზის ხარისხი შეფასდა ელასტოგრაფიის საშუალებით (Fibroscan).

PBMCs ნიმუშებში HCV რნმ გამოვლინდა პირველ ჯგუფში 2 (2%) შემთხვევაში, მეორე ჯგუფში - 4 (12%) და მესამე ჯგუფში - 9 (31%) შემთხვევაში. გამოვლენილი 15 ოკულტური ჰეპატიტის პაციენტებიდან HCV გენოტიპი განისაზღვრა 14 პაციენტში, გენოტიპების შემდეგი განაწილებით: 6 (46%) – 1b, 3 (23%) – 2a/2c და 5 (38%) – 3a. ერთ ნიმუშში გენოტიპი ვერ განისაზღვრა C ჰეპატიტის ვირუსის უკიდურესად დაბალი ვირუსული დატვირთვის გამო.

კვლევამ აჩვენა აივ-ით ინფიცირებულ პაციენტებში ოკულტური HCV ინფექციის არსებობა. ღვიძლის ფიბროზი უფრო ხშირი და უფრო მაღალი ხარისხის იყო ოკულტური ჰეპატიტით ავადმყოფებში, რაც მიუთითებს იმაზე, რომ გამოუვლენელმა ოკულტურმა C ჰეპატიტმა შეიძლება გამოიწვიოს ღვიძლის დაზიანება. ამრიგად, აივ ინფიცირებულების მხოლოდ HCV ანტისხეულებზე კვლევა არ ასახავს ოკულტური HCV კო-ინფექციის ჭეშმარიტ პრევალენტობას. სტატიის ავტორებს მიაჩნიათ, რომ ოკულტური C ჰეპატიტის გამოსავლენად, ღვიძლის ბიოფსიის ხელმიუწვდომლობის შემთხვევაში, PBMCs ნიმუშების კვლევა HCV რნმ-ზე მეტად ინფორმატიულია.

## 2) უცხოეთში

### ა) მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ანოტაციები				

### ბ) სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
	თენგიზ ცერცვაძე - External peer reviewer	CONSOLIDATED GUIDELINES ON HIV PREVENTION, DIAGNOSIS, TREATMENT	WHO, Geneva	159

	AND CARE FOR KEY POPULATIONS JULY 2014		
<b>ანოტაცია/რეზიუმე</b>			
<b>ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის კონსოლიდირებული გაიდლაინი. აივ/შიდსის პრევენცია, დიაგნოსტიკა, მკურნალობა და მოვლა მაღალი რისკის ჯგუფებში.</b>			
<p>გაიდლაინი აერთიანებს არსებულ სახელმძღვანელო რეკომენდაციებს და პროტოკოლებს აივ/შიდსის მაღალი რისკის ჯგუფებში, როგორცაა ჰომოსექსუალი მამაკაცები, ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებლები, კომერციული სექს მუშაკები, პატიმრები და ტრანსგენდერები, აივ/შიდსის პრევენციის, დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და მოვლის საკითხებზე.</p> <p>გაიდლაინის მიზანია აივ/შიდსის დარგში მტკიცებულებებზე დაფუძნებული რეკომენდაციების მიწოდება კლინიციისტებისა და პროგრამის მენეჯერებისათვის, რაც გულისხმობს ეფექტური პრევენციული ღონისძიებების გაფართოებას და მკურნალობისა და მოვლის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას აღნიშნულ ჯგუფებში.</p>			

გ) კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ანოტაციები				

დ) სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3	Akhvlediani T, Bautista CT, Shakarishvili R, Tsertsvadze T, Imnadze P, Tatishvili N, Davitashvili T, Samkharadze T, Chlikadze R, Dvali N, Dzigua	Etiologic Agents of Central Nervous System Infections among Febrile Hospitalized Patients in the Country of Georgia.	2014 Nov 4;9(11):e111393. doi: 10.1371/journal.pone.0111393. eCollection 2014.	PLoS One	

L, Karchava M, Gatserelia L, Macharashvili N, Kvirkvelia N, Habashy EE, Farrell M, Rwlinson E, Sjvar J, Hepburn M, Pimentel G, Dueger E, House B, Rivard R.	PLoS One			
---	----------	--	--	--

**ანოტაცია**

**ცხვლებით ჰოსპიტალიზებულ ავადმყოფებში ცენტრალური ნერვული სისტემის ეტიოლოგიური აგენტების შესწავლა საქართველოში.**

კვლევაში ჩართული იქნა მენინგიტით და ენცეფალიტით დაავადებული ავადმყოფები. ცერებროსპინალური სითხე შესწავლილ იქნა ბაქტერიოლოგიური და პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციის მეთოდებით მარტივი ჰერპესის ვირუსზე, ყბაყურას ვირუსზე, ენტეროვირუსზე, ჰერპეს ზოსტერის ვირუსზე, სტრეპტოკოკზე და მენინგოკოკზე.

კვლევაში ჩართული 140 ავადმყოფიდან, ცერებროსპინალურ სითხეში Streptococcus pneumonia აღმოჩნდა 5 ავადმყოფში. პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციით 25 ავადმყოფში დადასტურდა Streptococcus pneumonia-ის არსებობა, 6 ავადმყოფში - N. Meningitidis და 1 ავადმყოფში - H. influenza. პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციით ასევე 26 ავადმყოფში აღმოჩენილი იქნა ენტეროვირუსი, varicella zoster virus - 4 ავადმყოფში და HSV- 2 ავადმყოფში. კვლევამ ცხადყო, რომ S. pneumoniae და ენტეროვირუსი ყველაზე ხშირი ეტიოლოგიური აგენტები არიან აღნიშნულ კოჰორტაში.

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	ბეჭდების რაოდენობა
1 2 3	Chkhartishvili N, Sharvadze L, Dvali N, Karchava M, Rukhadze N, Lomtadze M, Chokoshvili O, Tsertsvadze T.	Virologic outcomes of second-line antiretroviral therapy in Eastern European country of Georgia.  AIDS Res Ther	2014 Jul 7;11:18. doi: 10.1186/1742- 6405-11-18. eCollection 2014.	AIDS Research and Therapy	

**ანოტაცია**

**მეორე რიგის ანტირეტროვირუსულ მკურნალობაზე (არე) მყოფი ავადმყოფების ვირუსული გამოსავლები საქართველოში.**

რეტროსპექტულ კვლევაში ჩართული იქნა აივ/შიდსით ავადმყოფები, რომლებსაც დაუდასტურდათ არც პრეპარატებისადმი რეზისტენტობა და გადაყვანილ იქნენ მეორე რიგის არც მკურნალობაზე. კვლევის პერიოდი შეადგენდა 2005-2010 წწ.

ავადმყოფების დაკვირვება განხორციელდა 2011 წლის 1 ივლისამდე. კვლევაში ჩართული 84 ავადმყოფიდან მე-6, მე-12, 24-ე და 36-ე თვეზე ვირუსული სუპრესია მიღწეულ იქნა 79-83%-ში. ვირუსული უმედეგობის რისკ ფაქტორებს წარმოადგენდა მკურნალობაზე დამყოლობა <80% და აივ ვირუსული დატვირთვა >100 000 მკურნალობის დაწყებისას.

კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ მეორე რიგის არც მკურნალობაზე ავადმყოფებში მიღწეულ იქნა სახარბიელო პასუხი. კვლევის მონაცემები ადასტურებს არც მკურნალობაზე ავადმყოფთა დამყოლობის გაუმჯობესების აუცილებლობას.

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3	Chkhartishvili N, Sharavdze L, Chokoshvili O, DeHovitz J, Del Rio C, Tsertsvadze T.	The cascade of care in the Eastern European country of Georgia.  HIV Med	2014 Jun 12. doi: 10.1111/hiv.12172.	HIV Med	

**ანოტაცია**  
**აივ/შიდსის მკურნალობისა და მოვლის კასკადი საქართველოში**

ანტირეტროვირუსული თერაპიის (ართ) ეფექტურობა დამოკიდებულია აივ/შიდსით ავადმყოფთა წარმატებულ ჩართულობაზე აივ/შიდსის მკურნალობისა და მოვლის სერვისებში. აღნიშნულ კვლევაში ჩართული იქნა 1989-2012 წლებში საქართველოში რეგისტრირებული აივ/შიდსით ავადმყოფები.

კვლევის შედეგად გაირკვა, რომ აივ/შიდსით ავადმყოფთა უმრავლესობა მუდმივად ჩართულია მკურნალობისა და მოვლის სერვისებში. ავადმყოფების გამოთიშვას ადგილი აქვს მკურნალობისა და მოვლის პროცესის ყველა რგოლში, განსაკუთრებით კი აივ/შიდსის დიაგნოზის დადგენისას. აქედან გამომდინარე აუცილებელია არადიაგნოსტირებული პაციენტების გამოვლენა და მათი ჩართვა ართ მკურნალობისა და მოვლის სერვისებში, რაც განაპირობებს ართ პროგრამის ეფექტურობას.

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
---	-----------------	---	--------------------------	--------------------------------	---------------------



1 2 3	Kuchuloria T, Imnadze P, Chokheli M, Tsertsvadze T, Endeladze M, Mshvidobadze K, Clark DV, Bautista CT, Abdel Fadeel M, Pimentel G, House B, Hepburn MJ, Wölfel S, Wölfel R, Rivard RG.	Viral hemorrhagic fever cases in the country of Georgia: Acute Febrile Illness Surveillance Study results.  Am J Trop Med Hyg	2014 Aug;91(2):246-8. doi: 10.4269/ajtmh.13- 0460. Epub 2014 Jun 2	American Journal of Tropical Medicine Hygiene	
-------------	---	--	---	---	--

**ანოტაცია**

***ვირუსული ჰემორაგიული ცხვლები საქართველოში.***

საქართველოში ვირუსული ჰემორაგიული ცხვლებების: ყირიმ-კონგოს ცხვლების და ჰანტავირუსული ინფექციის ახალი შემთხვევების (ინსიდენტობის) შესახებ ინფორმაცია მწირია.

შესწავლილ იქნა 2008-2011 წლებში საქართველოში 537 ცხვლებით ავადმყოფი. 14 ცხვლებით ავადმყოფიდან, რომელსაც ასევე აღენიშნებოდა ჰემორაგიული სინდრომი, ყირიმ-კონგოს ცხვლება დაუდასტურდა 3 ავადმყოფს. 2 ცხვლებით ავადმყოფს, რომლებსაც ჰქონდათ თირკმლის მწვავე უკმარისობა, დაუდასტურდათ ჰანტავირუსული ინფექცია.

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ ყირიმ-კონგოს ცხვლების და ჰანტავირუსული ინფექციის გამომწვევები წარმოადგენს მწვავე ცხვლებით მიმდინარე ინფექციების ეტიოლოგიურ ფაქტორებს საქართველოში. აქედან გამომდინარე აუცილებელია აღნიშნულ ინფექციებზე დიაგნოსტიკური მეთოდების და ზედამხედველობის სისტემის გაუმჯობესება საქართველოში.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა- ური, ჟურნა- ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3	Chkhartishvili N1, Rukhadze N2, Svanidze M2, Sharvadze L3, Dehovitz JA4, Tsertsvadze T3, McNutt LA5, del Rio C6.	Evaluation of multiple measures of antiretroviral adherence in the Eastern European country of Georgia.  J Int AIDS Soc	2014 Apr 9;17:18885. doi: 10.7448/IAS.17.1.18885. eCollection 2014.	Journal of International AIDS Society	

**ანოტაცია**

**ანტირეტროვირუსულ თერაპიაზე დამყოლობის შეფასება საქართველოში.**

მონაცემები ანტირეტროვირუსულ თერაპიაზე (ართ) დამყოლობის თაობაზე აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში მწირია.

პროსპექტულ კვლევაში ჩართული იქნა 100 აივ/შიდსით ავადმყოფი, რომლებსაც დაენიშნა ართ. დაკვირვება წარმოებდა სამი თვის მანძილზე. მედიკამენტების რეჟიმის დაცვა კორელირებდა ვირუსულ სუპრესიასთან. ნარკოტიკების აქტიურ მომხმარებელ აივ/შიდსით ავადმყოფებში ართ რეჟიმის დარღვევის გამო ორჯერ ნაკლები იყო აივ ვირუსული სუპრესიის მიღწევა.

კვლევამ დაადასტურა ართ რეჟიმის დაცვის აუცილებლობა ვურუსული სუპრესიის მიღწევის მიზნით. ნარკოტიკების აქტიურ მომხმარებლებში აღინიშნებოდა აივ სუპრესიის ოპტიმალური მაჩვენებელი, თუმცა ანტირეტროვირუსული მკურნალობის დამყოლობის გაუმჯობესების მიზნით აღნიშნულ ჯგუფში საჭიროა დამატებითი ღონისძიებების შემუშავება.

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3	Tsertsvadze T, Chkhartishvili N, Dvali N, Karchava M, Chokoshvili O, Tavadze L, Gamkrelidze A, Zohrabyan L	Estimating HIV incidence in eastern European country of Georgia: 2010-2012.  Int J STD AIDS.	2014 Nov;25(13):913-20. doi: 10.1177/0956462414525939. Epub 2014 Mar 26.	Int J STD AIDS.	

**ანოტაცია**

**აივ ინსიდენტობის კვლევა საქართველოში.**

კვლევის ფარგლებში მოხდა 2010-2012 წლებში საქართველოში აივ ინსიდენტობის შესწავლა მათემატიკური მოდელირების მეთოდის გამოყენებით.

კვლევაში ჩართული იქნა 2010-2012 წლებში რეგისტრირებული ახლადგამოვლენილი 1155 აივ/შიდსით ავადმყოფი. 231 ავადმყოფში დადასტურდა აივ ინფექციის ახალი შემთხვევა. ინსიდენტური შემთხვევები თანაბარი იყო 2010, 2011 და 2012 წლებში.

კვლევამ ცხადყო, რომ მიუხედავად აივ/შიდსის დაბალი ინსიდენტობის მაჩვენებლისა,

საქართველოში ადგილი აქვს აივ/შიდსის ეპიდემიის ზრდას, რომლის ძირითად მიზეზს წარმოადგენს აივ/შიდსის გვიანი დიაგნოსტიკა და გამოუვლენელი (არადიაგნოსტირებული) შემთხვევების მაღალი მაჩვენებელი.

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3	Chkhartishvili N, Sharvadze L, Chokoshvili O, Bolokadze N, Rukhadze N, Kempker RR, Gamkrelidze A, DeHovitz JA, Del Rio C, Tsertsvadze T.	Mortality and causes of death among HIV-infected individuals in the country of Georgia: 1989-2012.  AIDS Res Hum Retroviruses.	2014 Jun;30(6):560-6. doi: 10.1089/AID.2013.0219. Epub 2014 Feb 24.	AIDS Res Hum Retroviruses.	

**ანოტაცია**  
**სიკვდილობა და მისი მიზეზები აივ/შიდსით ავადმყოფებში საქართველოში. 1989-2012 წწ.**

საქართველომ 2004 წლიდან უზრუნველყო ყველა აივ/შიდსით ავადმყოფის ანტირეტროვირუსული თერაპიით (ართ) უნივერსალური ხელმისაწვდომობა. აივ/შიდსით ავადმყოფების სიკვდილობაზე ართ-ს ზემოქმედების შესწავლის მიზნით ჩატარდა რეტროსპექტული კვლევა. კვლევაში ჩართული იქნა 1989-2012 წლებში რეგისტრირებული აივ/შიდსით ავადმყოფები. 3554 აივ/შიდსით ავადმყოფიდან 779 მოკვდა. სიკვდილობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2004 წელს (10,74 - 100 ავადმყოფზე). მაჩვენებელი საგრძნობლად შემცირდა ართ უნივერსალური ხელმისაწვდომობის დანერგვის შემდეგ (სიკვდილობის მაჩვენებელი: 4,02 - 100 ავადმყოფზე). სიკვდილობის სარწმუნო რისკ ფაქტორს წარმოადგენდა შიდსის არსებობა აივ დიაგნოსტიკისას. აივ/შიდსით ავადმყოფებში სიკვდილის ძირითადი მიზეზი იყო ტუბერკულოზი (21%).

კვლევამ ცხადყო, რომ ართ უნივერსალურმა ხელმისაწვდომობამ საგრძნობლად შეამცირა სიკვდილობის მაჩვენებელი აივ/შიდსით ავადმყოფებში. თუმცა, სიკვდილობის მაჩვენებელი კვლავ რჩება მაღალი აივ/შიდსის გვიანი გამოვლენის გამო.

აივ/შიდსის შემთხვევების ადრეული გამოვლენა და ართ-ს დროული დაწყება აღნიშნულ პოპულაციაში სიკვდილობის შემცირების და ასევე აივ/შიდსის და ტუბერკულოზის ახალი შემთხვევების პრევენციის საწინდარია.

**V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა**

## 1) საქართველოში

№	მომსხენებელი/ მომსხენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	<b>თენგიზ ცერცვაძე</b>	აივ/შიდსის სიტუაცია საქართველოში. შიდსის სამსახურის 30 წელი საქართველოში	აშშ-საქართველოს ერთობლივი სამეცნიერო ვორქშოპი "აივ/შიდსი, ტუბერკულოზი და ვირუსული ჰეპატიტები" 2014 წლის 16-18 ივნისი, თბილისი
2	<b>თენგიზ ცერცვაძე</b>	HCV მკურნალობის გამოცდილება საქართველოში	აშშ-საქართველოს ერთობლივი სამეცნიერო ვორქშოპი "აივ/შიდსი, ტუბერკულოზი და ვირუსული ჰეპატიტები" 2014 წლის 16-18 ივნისი, თბილისი
3	<b>ლალი შარვაძე</b>	მწვავე/ახალი HCV ინფექცია; კლინიკური მიმდინარეობა; ვირუსის რეპლიკაციის კინეტიკა და დაავადების გამოსავლები	აშშ-საქართველოს ერთობლივი სამეცნიერო ვორქშოპი "აივ/შიდსი, ტუბერკულოზი და ვირუსული ჰეპატიტები" 2014 წლის 16-18 ივნისი, თბილისი
4	ნინო ბადრიძე	აივ/შიდსი საქართველოში – მიმოხილვა	აშშ-საქართველოს ერთობლივი სამეცნიერო ვორქშოპი "აივ/შიდსი, ტუბერკულოზი და ვირუსული ჰეპატიტები" 2014 წლის 16-18 ივნისი, თბილისი
5	ნატალია ბოლოკაძე	HIV/HCV და HIV/HBV კოინფექციები საქართველოში.	აშშ-საქართველოს ერთობლივი სამეცნიერო ვორქშოპი "აივ/შიდსი, ტუბერკულოზი და ვირუსული ჰეპატიტები" 2014 წლის 16-18 ივნისი, თბილისი
6	ნათა დვალი	აივ მოლეკულური ეპიდემიოლოგია საქართველოში.	აშშ-საქართველოს ერთობლივი სამეცნიერო ვორქშოპი "აივ/შიდსი, ტუბერკულოზი და ვირუსული ჰეპატიტები" 2014 წლის 16-18 ივნისი,

			თბილისი
7	ქეთევან შერმაღინი	აივ/შიდსის მკურნალობისა და მოვლის კასკადი საქართველოში-ტესტირების და მკურნალობის სტრატეგია	აშშ-საქართველოს ერთობლივი სამეცნიერო ვორქშოპი "აივ/შიდსი, ტუბერკულოზი და ვირუსული ჰეპატიტები" 2014 წლის 16-18 ივნისი, თბილისი
8	ნიკოლოზ ჩხარტიშვილი	ანტირეტროვირუსული მკურნალობის უნივერსალური ხელმისაწვდომობა. საქართველოს გამოცდილება	აშშ-საქართველოს ერთობლივი სამეცნიერო ვორქშოპი "აივ/შიდსი, ტუბერკულოზი და ვირუსული ჰეპატიტები" 2014 წლის 16-18 ივნისი, თბილისი
9	მარინე ქარჩავა	HCV მოლეკულური ეპიდემიოლოგია საქართველოში. HCV 2k/1b რეკომბინანტული ფორმები HCV მე-2 გენოტიპით ავადმყოფებში	აშშ-საქართველოს ერთობლივი სამეცნიერო ვორქშოპი "აივ/შიდსი, ტუბერკულოზი და ვირუსული ჰეპატიტები" 2014 წლის 16-18 ივნისი, თბილისი
10	ფატი გაბუნია	აივ/შიდსით და ტუბერკულოზით კო-ინფექცია საქართველოში	აშშ-საქართველოს ერთობლივი სამეცნიერო ვორქშოპი "აივ/შიდსი, ტუბერკულოზი და ვირუსული ჰეპატიტები" 2014 წლის 16-18 ივნისი, თბილისი

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
11	თენგიზ ცერცვაძე	C ჰეპატიტის მკურნალობის პრინციპები;	საერთაშორისო სამუშაო შეხვედრა: „C ჰეპატიტის კონტროლის გეგმა საქართველოში: C ჰეპატიტის ელიმინაციის მოდელი“. 12-14 მარტი, 2014 წ.
12	ნინო ბადრიძე, მარინე ქარჩავა	C ჰეპატიტის ეპიდსიტუაცია, მ.შ. მოლეკულური ეპიდემიოლოგია, საქართველოში;	საერთაშორისო სამუშაო შეხვედრა: „C ჰეპატიტის კონტროლის გეგმა საქართველოში: C ჰეპატიტის ელიმინაციის მოდელი“. 12-14

			მარტი, 2014 წ.
13	ნიკოლოზ ჩხარტიშვილი	აივ ინფექცია/შიდსის ეპიდემიის მიმოხილვა, შიდსის ცენტრის დაარსებიდან 30 წელი - გავლილი გზა, მიღწევები, სამომავლო გეგმები	შიდსის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი კონფერენცია. 1 დეკემბერი, 2014. თბილისი, საქართველო.

## 2) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	თენგიზ ცერცვაძე	HCV Care and Treatment in Georgia	EASL GEORGIA SIDE- MEETING on HEPATITIS C, London, U.K., April 9, 2014

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	აკაკი აბუთიძე	Epidemiology of Hepatitis C and drivers of transmission	EASL GEORGIA SIDE- MEETING on HEPATITIS C, London, U.K., April 9, 2014

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1 2 3	Karchava M.; Sharvadze L.; Gatsrelia L.; Chkhartishvili N.; Dvali N.; Dzigua L.; Dolmazashvili E.; Tsertsvadze T.	HCV 2k/1b recombinant strain among hepatitis C infected genotype 2 patients in Georgia	European Association for Microbiology and Infectious Diseases Congress 2014  10-13 May, 2014 Barcelona, Spain

მოხსენებათა ანოტაციები

### **HCV 2k/1b რეკომბინანტული ფორმები C ჰეპატიტის მე-2 გენოტიპით ინფიცირებულ ავადმყოფებში საქართველოში**

რესტროსპექტული კვლევის ფარგლებში განხორციელდა რანდომულად შერჩეული 72 C ჰეპატიტით ავადმყოფის სისხლის ნიმუში, რომლებშიც ჩატარდა 275 nt NS5B უბნის სექვენირება.

დისკორდანტული ნიმუშების დეტალური შესწავლა მოხდა 5'UTR/Core სექვენირებით.

5'UTR/Core გენოტიპირების მეთოდის გამოყენებით 32 (44.4%) C ჰეპატიტით ავადმყოფს აღმოაჩნდა C ჰეპატიტის ვირუსის პირველი გენოტიპი, 21 (29.1%) ავადმყოფს - მეორე გენოტიპი და 19 (26.3%) ავადმყოფს - მესამე გენოტიპი. C ჰეპატიტის მეორე გენოტიპის მქონე 21 ავადმყოფიდან გენომის უბნების შედარების შედეგად 7 შემთხვევაში მიღებულ იქნა დისკორდანტული შედეგები, რისი მიზეზიც იყო HCV 2k/1b რეკომბინანტული ფორმების არსებობა.

C ჰეპატიტის ვირუსის მეორე გენოტიპის მქონე ავადმყოფებში ანტივირუსული მკურნალობის შედეგად მყარი ვირუსული პასუხი მიღწეულ იქნა 58.3%-ში, რომელიც ნაკლებია იყო მესამე გენოტიპის მქონე ავადმყოფების მყარ ვირუსულ პასუხთან შედარებით (72.7%) და აღემატებოდა პირველი გენოტიპის მქონე ავადმყოფთა მკურნალობის შედეგად მიღწეულ მყარი ვირუსული პასუხის მაჩვენებელს (38.5%).

კვლევამ ცხადყო, რომ საქართველოში C ჰეპატიტით ავადმყოფებში ცირუკულირებს C ჰეპატიტის ვირუსის RF 2k/1b ფორმები. C ჰეპატიტის ვირუსის მეორე გენოტიპით ავადმყოფებს დამატებით უნდა ჩაუტარდეს ვირუსის NS5B რეგიონის სექვენირება, რათა დადგინდეს RF 2k/1b ფორმის არსებობა, რასაც მნიშვნელობა აქვს ანტივირუსული მკურნალობის ეფექტურობისათვის.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1 2 3	Nikoloz Chkhartishvili, Otar Chokoshvili, Lali Sharvadze, Jack A. DeHovitz, Carlos del Rio, Tengiz Tsertsvadze	Trends in Cascade of Care in the Eastern European Country of Georgia: 2008-2012	CROI 2014 March 3-6, 2014   Boston, Massachusetts

მოხსენებათა ანოტაციები

**აივ/შიდსის მკურნალობისა და მოვლის სერვისებში/კასკადში ავადმყოფთა ჩართულობის  
დინამიკა საქართველოში.**

კვლევაში ჩართული იქნა 1989-2012 წლებში საქართველოში რეგისტრირებული ყველა აივ/შიდსით ავადმყოფი. ანალიზისთვის გამოყენებული იქნა აივ/შიდსის მონაცემთა ეროვნული ბაზა.

კვლევის შედეგად გაირკვა, რომ აივ/შიდსის მკურნალობისა და მოვლის სერვისებში აივ/შიდსით ავადმყოფთან ჩართულობის მაჩვენებელი დროთა განმავლობაში იზრდება. ინტრავენური ნარკოტიკების მომხმარებელ აივ/შიდსით ავადმყოფებში აღინიშნება ჩართულობის შედარებით ნაკლები მაჩვენებელი. აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია დამატებითი ღონისძიებების შემუშავება აღნიშნულ სერვისებში ავადმყოფთა ჩართულობის გაუმჯობესებისათვის და ასევე ანტირეტროვირუსული მკურნალობის ადრეული დაწყებისათვის.

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Lali Sharvadze	Georgia HBV country situation	October 23. 2014.

		update. Prof. Lali Sharvadze	Consultation Meeting on Hepatitis B. Organized by pharma "Gilead". Kiev, Ukraine
--	--	------------------------------	---

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Lali Sharvadze	Georgia HBV country situation update. Prof. Lali Sharvadze	Expert Forum 9 – Turning Points in Chronic Hepatitis Care. Berlin, Germany

**ღონისძიებები განხორციელებული ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის ს-პ ცენტრის მიერ**

**აშშ-საქართველოს ერთობლივი სამეცნიერო ფორქშოპი "აივ/შიდსი, ტუბერკულოზი და ვირუსული ჰეპატიტები"**

2014 წლის 16-18 ივნისს, თბილისში, ჩატარდა აშშ-საქართველოს ერთობლივი სამეცნიერო ფორქშოპი "აივ/შიდსი, ტუბერკულოზი და ვირუსული ჰეპატიტები."

ფორქშოპის ორგანიზატორები იყვნენ: აშშ ჯანდაცვის ნაციონალური ინსტიტუტების (NIH) ალერგიისა და ინფექციური დაავადებების ნაციონალური ინსტიტუტი (NIAID), მეცნიერებისა და ტექნოლოგიების საერთაშორისო ცენტრი (ISTC), საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს საელჩო აშშ-ში, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი და ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის ს/პ ცენტრი.

ფორქშოპის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს აშშ და საქართველოს დარგის წამყვანმა სპეციალისტებმა.

ფორქშოპის მიზნები: არსებული სამეცნიერო მიღწევების გაზიარება, და ბიომედიცინის დარგში აშშ-საქართველოს თანამშრომლობის განმტკიცება და შემდგომი გაფართოება. ფორქშოპზე დაწვრილებით იქნა განხილული აივ/შიდსთან, C და B ვირუსულ ჰეპატიტებსა და ტუბერკულოზთან დაკავშირებული საკითხები – პრობლემები. მიდგომები, მიღწევები და სამომავლო პერსპექტივები.

შიდსის და კლ. იმუნოლოგიის ს/პ ცენტრის მიერ, ფორქშოპზე წარდგენილი იქნა მოხსენებები:

- აივ/შიდსი საქართველოში – მიმოხილვა (ნინო ბადრიძე);
- აივ მოლეკულური ეპიდემიოლოგია საქართველოში. (ნათია დვალი);
- აივ/შიდსის მკურნალობისა და მოვლის კასკადი საქართველოში-ტესტირების და მკურნალობის სტრატეგია (ქეთევან შერმაღინი);



- ანტირეტროვირუსული მკურნალობის უნივერსალური ხელმისაწვდომობა. საქართველოს გამოცდილება (ნიკოლოზ ჩხარტიშვილი);
- HIV/HCV და HIV/HBV კონფექციები საქართველოში. (ნატალია ბოლოკაძე);
- C ჰეპატიტი საქართველოში – მიმოხილვა (აკაკი აბუთიძე);
- HCV მოლეკულური ეპიდემიოლოგია საქართველოში. HCV 2k/1b რეკომბინანტული ფორმები HCV მე-2 გენოტიპით ავადმყოფებში (მარინე ქარჩავა);
- მწვავე/ახალი HHCV ინფექცია; კლინიკური მიმდინარეობა; ვირუსის რეპლიკაციის კინეტიკა და დაავადების გამოსავლები. (ლალი შარვაძე);
- HCV მკურნალობის გამოცდილება საქართველოში (თენგიზ ცერცვაძე);
- აივ/შიდსით და ტუბერკულოზით კო-ინფექცია საქართველოში (ფატი გაბუნია).

ვორქშოპზე ერთი სესია დაეთმო საქართველოს შიდსის სამსახურის 30 წლის იუბილეს. აივ/შიდსის მკურნალობაში, კვლევისა და განათლებაში 30 წლის წარმატებულ საქმიანობაზე ისაუბრა ცენტრის გენერალურმა დირექტორმა, ბ-ნ თენგიზ ცერცვაძემ.

სწავლება-ტრენინგი რეგიონის შიდსის ცენტრის ექიმებისთვის “ანტირეტროვირუსული თერაპიის ახალი მიდგომები” 17 ოქტომბერი 2014 წ.

თბილისი

მოსსენებები:

ოპორტუნისტული დაავადებების პროფილაქტიკა და მკურნალობა

ნატალია ბოლოკაძე

ანტირეტროვირუსული თერაპიის მიდგომები საზოგადოებრივი ჯანდაცვის

კუთხით. ფატი გაბუნია

## 1 დეკემბერი - შიდსის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი კონფერენცია თბილისი

*ორგანიზატორები:*

სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი და სს. ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრი აივ/შიდსის პრევენციის სამუშაო ჯგუფთან (PTF) ერთად კონფერენცია ტარდება შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდის შიდსის პროგრამის ფარგლებში

1 დეკემბერს შიდსის მსოფლიო დღის აღნიშვნის ტრადიცია სათავეს გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან იღებს. 1988 წელს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის შიდსის პროგრამის მიერ ეს დღე ოფიციალურად იქნა გამოცხადებული შიდსთან ბრძოლის მსოფლიო დღედ. დღეისათვის მსოფლიოს 160-ზე მეტ ქვეყანაში ტარდება ამ დღისადმი მიძღვნილი სხვადასხვა ღონისძიება, რითაც აივ ინფიცირებულთა თემი, მთავრობები და არასამთავრობო სექტორი ცდილობს საზოგადოებას შეახსენოს შიდსის პრობლემის აქტუალობის და ამ მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებების გაფართოების აუცილებლობის შესახებ.

2014 წელს გრძელდება გაეროს შიდსის პროგრამის ხუთწლიანი კამპანია სლოგანით:

**0** აივ ინფექციის ახალი შემთხვევა;

**0** შიდსით გამოწვეული სიკვდილობის შემთხვევა;

## 0 აივ- ასოცირებული დისკრიმინაცია

მკურნალობის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით წელს ასევე დაიწყო გაეროს შიდსის პროგრამისა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ერთობლივი კამპანია:

**„90 – 90 -90 „**

კამპანია მიზნად ისახავს შიდსის ეპიდემიის შეჩერებას მაღალაქტიური ანტირეტროვირუსული (არვ) მკურნალობის ამბიციური ფართომასშტაბიანი პროგრამის საშუალებით. 2014 წლის ბოლოსთვის აღნიშნულ მკურნალობას მსოფლიოში მხოლოდ 13.6 მილიონი ადამიანი ღებულობს. თუმცა აივ ინფიცირებულთა სავარაუდო რიცხვმა 2013 წლის მონაცემებით 35 მილიონს გადააჭარბა. ეპიდემიის დაწყებიდან დღემდე 36 მილიონი ადამიანი გარდაიცვალა.

### 2020 წლისთვის მისაღწევი მიზნები:

*აივ ინფიცირებულთა 90%-მა უნდა იცოდეს საკუთარი ინფიცირების შესახებ;*

*აივ ინფიცირებულთა 90% უნდა იღებდეს არვ მკურნალობას;*

*მკურნალობაზე მყოფი აივ ინფიცირებულთა 90%-ში მიღწეული უნდა იქნას აივ სუპრესია (სისხლში აივ ვირუსის ნულოვანი დონე)*

გაეროს შიდსის პროგრამის მიერ დაწყებული იქნა ახალი კამპანია (Closing the Gap), რაც მიზნად ისახავს 2030 წლისათვის შიდსის ეპიდემიის ელიმინაციას. დაგეგმილია სხვადასხვა მომსახურებებით მოცვის გაზრდა, კერძოდ:

- აივ ნებაყოფლობითი ტესტირების გაზრდა იმ 19 მილიონი აივ ინფიცირებულის გამოსავლენად, რომლებმაც არ იციან საკუთარი აივ დადებითი სტატუსის შესახებ და ვერ ღებულობენ შესაბამის დახმარებას;
- მკურნალობის პროგრამით მოცვის გაფართოება, რათა მსოფლიო მასშტაბით 35 მილიონი აივ ინფიცირებული ადამიანისათვის ხელმისაწვდომი გახდეს მკურნალობა;
- მსოფლიოში მკურნალობის პროგრამით აივ ინფიცირებული ბავშვების მოცვის გაზრდა არსებული 24%-დან 100%-მდე;
- ყველა ადამიანის ჩართულობის უზრუნველყოფა შიდსის საწინააღმდეგო კამპანიაში.

თუ მსოფლიო საზოგადოება შეძლებს აღნიშნული ღონისძიებების წარმატებით გატარებას, სავარაუდოდ, 2030 წლისთვის ჩვენ შევძლებთ შიდსის ეპიდემიის სრულად დამარცხებას.

აღნიშნული ამბიციური მიზნები თითოეული ქვეყნისგან მოითხოვს არსებული რესურსების მაქსიმალურ მობილიზებას და ეფექტიან ხარჯვას.

საქართველოში აივ/შიდსის როგორც პრევენციული, ისე მკურნალობის პროგრამების დიდი ნაწილი ფინანსდება შიდსთან, ტუბერკულოზსა და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდის მიერ, თუმცა დონორი ორგანიზაციის მოთხოვნით, 2015 წლიდან ეტაპობრივად უნდა გაიზარდოს ამ მიმართულებით სახელმწიფოს შიდა რესურსების ხარჯვა. 2015 წლიდან სახელმწიფომ უკვე თავის თავზე აიღო არვ მკურნალობის პირველი რიგის მედიკამენტების შესყიდვის ვალდებულება, რაც დაახლოებით 1 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების მედიკამენტების შექნას გულისხმობს. 2016-2017 წლებში სახელმწიფოს უფრო მნიშვნელოვანი თანხების მობილიზება დასჭირდება, რადგან გლობალური ფონდის დაფინანსება კიდევ უფრო შემცირდება.

აივ/შიდსის პრევენციისა და მკურნალობის პროგრამების მდგრადობა ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია, რომლის გადაჭრა შესაძლებელია სახელმწიფო და

არასამთავრობო სექტორის ერთობლივი დიალოგისა და სტრატეგიული დაგეგმვის საფუძველზე.

**ქირურგიის დეპარტამენტი**

სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: პროფ.მერაბ კილაძე

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემაღვენლობა:

პროფ.მერაბ კილაძე

პროფ.გია ლობჯანიძე

ასოც.პროფ.ამირან ანთაძე

ასოც.პროფ.ვლადიმერ გონჯილაშვილი

ასოც.პროფ.ავთანდილ ღირდალაძე

ასოც.პროფ. ზურაბ ბერიაშვილი

ასისტ.პროფ.გიორგი ელისაბედაშვილი

ასისტ.პროფ.გიორგი ხეროდინაშვილი

ასისტ.პროფ.თემურ მგელიაშვილი

ასისტ.პროფ.თემურ მგელიაშვილი

ასისტ.პროფ.გიორგი მამამთავრიშვილი

ასისტ.პროფ.გია ლურსმანაშვილი

ასისტ.პროფ.თემურ ქემოქლიძე

**\* საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2014 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები**

№	გეგმით გათვალისწინებული და შესრულებული სამუშაოს დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1			
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
2	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები

**\* სახელმწიფო გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები**

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1				

დასრულებული პროექტის (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)				
2	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები

**\* პუბლიკაციები:**  
**ა) საქართველოში**

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ანოტაციები				

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	თემურ ქემოკლიძე მერაბ კილაძე (რედაქტორი)	„შაინის სალი აზრი გადაუდებელ აბდომინურ ქირურგიაში“	თსუ გამომცემლობა 2014	448
2	ირაკლი ნადირაძე გივი ჩიქობავა მერაბ კილაძე (რედაქტორი)	„ონკოლოგია“	2014	160
ანოტაციები				

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ანოტაციები				

სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

1	M.Kiladze et al.,	Pancreatoduodenectomy as classic and pylorus-preserving variant: single center experience. "Georgian Medical News"	№ 4 (229) Апрель 2014, с.7-10.		4p.
2	М.Киладзе и соавт.,	Атензионная герниопластика: современные вопросы,пробле мы и перспективы(обзор) "Georgian Medical News"	№ 7-8 (232-233) Июль -Август 2014,с.7-12.		6с.
3	G. Lobzhanidze, J. Qorchilava, A. Imedadze, Z. khachiperadze	“ ოუნდატიონ ისტორე ოფ ღეპუბლიცან ჩენტრალ ჩლინიცალ ოსპიტალ” 44ბ <sup>3</sup> ჩონგრეს ოფ ტჰე ინტერნაციონალ შოციეტე ფორ ტჰე ისტორე ოფ ედიციინე “თჰე რეატ შილკ ღოდ ანდ ედიციინე”	10-14 September 2014, p. 34		1 pg.

ანოტაციები

3. დღევანდელი შპს. აკ. ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის (0160 თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 29) ისტორია იწყება 1820 წლის 30 აგვისტოდან, როდესაც ჩეხი ექიმის, ივანე პრიბილის ინიციატივით და პროექტით საქართველოში შეიქმნა პირველი სამოქალაქო, 12 საწოლიანი, საავადმყოფო, რომლის პირველი მთავარი ექიმიც თავად იყო. ყოველივე აღნიშნული გახდა წინაპდგარი, ანუ პრეისტორიული ნაწილი, 1868 წელს ე.წ. მიხეილის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს ჩამოყალიბებაში.

1918 წელს თბილისის მიხეილის სახელობის საავადმყოფოს ეწოდა „საქართველოს რესპუბლიკის მთავარი საავადმყოფო“ და იგი გადაყვანილ იქნა სახელმწიფო ბიუჯეტზე. ამავე წელს ივ. ჯავახიშვილის თაოსნობით დაარსებულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სამკურნალო ფაკულტეტის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით. პროფესორების სპირიდონ ვირსალაძის, გრიგოლ მუხაძის და ივანე თიკანაძის ინიციატივით და უშუალო მონაწილეობით 1919 წლის 9 აპრილს თსუ-ში დაარსებული სამკურნალო ფაკულტეტის კლინიკური კათედრების ბაზა გახდა ზემოთ აღნიშნული „საქართველოს რესპუბლიკის მთავარი საავადმყოფო“. აღნიშნული დასახელება 1925 წელს შეიცვალა და დაერქვა „ცენტრალური კლინიკური-კვლევითი-სამეცნიერო ინსტიტუტი“, ხოლო 1943 წელს მას დაუბრუნდა „საქართველოს რესპუბლიკის მთავარი საავადმყოფო“-ს სახელი. 1954 წლიდან, აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის გარდაცვალების შემდგომ, საავადმყოფოს დაერქვა „აკ. ნ. ყიფშიძის სახელობის რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური

საავადმყოფო“. 1974 წელს, აღნიშნულმა საავადმყოფომ შეიცვალა მისამართი და პლესანოვის (დღევანდელი დავით აღმაშენებლის გამზ.) პროსპექტიდან გადმოინაცვლა ვაჟა-ფშაველას N29-ში ახალაშენებულ, კომფორტულ, თანამედროვე, მრავალსართულიან შენობაში.

**ბ) უცხოეთში**

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ანოტაციები				

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ანოტაციები				

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ანოტაციები				

სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	G. Lobzhanidze, D. Kordzaia, G.	Diagnostic and Surgical Treatment	N5, 2014.	Macedonia	1p.

	Datuashvili, B. Iremashvili, Z. Khachiperadze	of Operated Stomach Cancer; SEEMF Fifth International Medical Congress Materials			
2	G. Lobzhanidze, D. Kordzaia	Liver Transplantation: Challenge For Further Clinical, Experimental and Social-Ethical Investigation; SEEMF Fifth International Medical Congress Materials	N5, 2014.	Macedonia	2p.
ანოტაციები					
<p>1. კუჭის წყლულის გამო ნაოპერაციები 523 ავადმყოფიდან შორეული შედეგი (2-15 წელი) შესწავლილია 432 (82,6%)-ში. სტაციონარულად გამოკვლეულია 313 (72,5%) პაციენტი, ხოლო დანარჩენი 119 (27,5%) - ანკეტური მონაცემებით. 432 გამოკვლეულიდან 144 გაუკეთდა კუჭის რეზექცია ბილროთ I მეთოდით, 76-ს - ბილროთ II, 39-ს რუს, ხოლო 54 ეკონომიური რეზექცია ვაგოტომიით; 91-ს ღეროვანი ვაგოტომია პილოროპლასტიკით, 27-ს სელექციური პროქსიმალური ვაგოტომია და ერთს - გასტრექტომია.</p>					
<p>2. ნახვენებია ღვიძლის ტრანსპლანტატის პერფუზიული კონსერვაციის თავისებურებები და შესაძლებლობები ორიგინალური კონსტრუქციის ტუმბოთი, რომელიც საშუალებას იძლევა ღვიძლის არტერიაში საპერფუზიო ხსნარი (მათ შორის, აუტო-სისხლი) მიწოდებული ოქნას პულსური ნაკადით, ხოლო კარის ვენაში - არაპულსური (ტუმბოებისათვის ტრადიციული) ნაკადით.</p>					

**\* სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა**

**ა) საქართველოში**

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	მერაბ კილაძე	მწვავე მუცელი: პრაქტიკული მიდგომა და თანამედროვე ასპექტები	IV პოლიპროფილური სამედიცინო კონფერენცია. ბაკურიანი, 20 თებერვალი, 2014 (მოხსენება)

2	ვლადიმერ გონჯილაშვილი	ნაოპერაციები მუცლის ლაპაროსკოპული ქირურგია	IV პოლიპროფილური სამედიცინო კონფერენცია. ბაკურიანი, 20 თებერვალი, 2014 (მოსხენება)
3	მერაბ კილაძე	შაინის საღი აზრი გადაუდებელ აბდომინურ ქირურგიაში	V პოლიპროფილური სამედიცინო კონფერენცია. ჩაქვი, 5 ივლისი, 2014 (პრეზენტაცია)
4	Vladimer Gonjilashvili	Surgical treatment of type II diabetes	MMESA 14th & GAMIS 2nd international Congress September 21-24,2014 Tbilisi,Georgia
მოსხენებათა ანოტაციები			

**ბ) უცხოეთში**

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოსხენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	G. Lobzhanidze	Healthcare Reform and development perspectives in Georgia	European Forum of Medical Association & WHO (EFMA/WHO), 12-14 March 2014, Belgrade, Serbia
2	G. Lobzhanidze	Diagnostic and Surgical Treatment of Operated Stomach Cancer	South-East European Medical Forum (SEEMF), 10-14 September 2014, Ohrid, Macedonia
3	G. Lobzhanidze	Healthcare Reform Steps in Georgia	South-East European Medical Forum (SEEMF), 10-14 September 2014, Ohrid, Macedonia

მოსხენებათა ანოტაციები

1. ამოქმედდა 15-მდე სადაზღვევო კომპანია, რომელიც გახდა შუამავალი სახელმწიფოსა და პაციენტს შორის (თანდათანობით დაიწყო მათი გაკოტრება - არასწორი დაფინანსების და მენეჯმენტის გამო); სადაზღვევო კომპანიებმა გადაინაწილეს სამომხმარებლო ბაზარი ქალაქებისა და რეგიონების მიხედვით (ინტერესთა კონფლიქტი - თავისი დაზღვეული, თავისი კლინიკა, თავისი ექიმები, თავისი მედიკამენტები); ერთი და იგივე ფორმის ხელში აღმოჩნდა სამედიცინო დაწესებულება, სადაზღვევო კომპანია, მედიკამენტების იმპორტი და წარმოება - სრული ინტერესთა კონფლიქტი; 2013 წლის თებერვალი-ივნისი - საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის პირველი ეტაპი (უფასო ამბულატორიული მიღება ოჯახის ექიმთან, მცირე ლაბ. გამოკვლევები, ურგენტული ამბულატორიული და სტაციონარული დახმარება). საყოველთაო ჯანდაცვის პროექტში ჩართო 3500000 ადამიანი.



2. კუჭის წყლულის გამო ნაოპერაციები 523 ავადმყოფიდან შორეული შედეგი (2-15 წელი) შესწავლილია 432 (82,6%)-ში. სტაციონარულად გამოკვლეულია 313 (72,5%) პაციენტი, ხოლო დანარჩენი 119 (27,5%) - ანკეტური მონაცემებით. 432 გამოკვლეულიდან 144 გაუკეთდა კუჭის რეზექცია ბილროთ I მეთოდით, 76-ს - ბილროთ II, 39-ს რუს, ხოლო 54 ეკონომიური რეზექცია ვაგოტომიით; 91-ს ღეროვანი ვაგოტომია პილოროპლასტიკით, 27-ს სელექციური პროქსიმალური ვაგოტომია და ერთს - გასტრექტომია
3. 2013 წლის ივლისიდან საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის მეორე ეტაპი (დაემატა ამბულატორულად - უფასო სპეციალისტებთან კონსულტაცია, გაფართოვდა ლაბ. კვლევების სპექტრი, დაიწყო გეგმიური ამბულატორული და სტაციონარული დახმარება; გამოიყო ლიმიტები გეგმიური ქირურგიული ოპერაციებისთვის; გამოიყო ლიმიტები ონკოდაავადებების მკურნალობისთვის (80% დაფინანსება); გაფართოვდა გეგმიური ოპერაციები (70% დაფინანსება); დაიწყო უფასო მშობიარობა. 2014 წლის 1 სექტემბრიდან 400 000-მდე ადამიანის (პენსიონერები, 0-5 წლამდე ბავშვები, სტუდენტები, შეზღუდული შესაძლებლობის პირები) საყოველთაო დაზღვევა ჩამოერთვა კერძო სადაზღვევო კომპანიებს და გადაეცა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამას. წინასწარი გათვლებით პროგრამის ეფექტურობიდან გამომდინარე დაიზოგება თანხების 30% (რომელიც ეძლეოდათ კერძო კომპანიებს).

**\* საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები**

№	გეგმით გათვალისწინებული და შესრულებული სამუშაოს დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	გასტროეზოფაგეალური დაავადება საქართველოში – დიაგნოსტიკის და მკურნალობის თანამედროვე ასპექტები	პროფ.მერაბ კილაძე	დოქტორანტი: შალვა გიუაშვილი
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
სადისერტაციო ნაშრომის პრეზენტაცია 19 დეკემბერს 2014 წელი			
2	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები

**დერმატო-ვენეროლოგიის დეპარტამენტი**

სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი. პროფესორი გიორგი გალდავა  
 სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:  
 პროფესორი გიორგი გალდავა  
 ასოცირებული პროფესორი თინა ქიტუაშვილი  
 ლაბორანტი ელზა გადელია

**\* საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2014 წლისათვის  
